



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №2. თებერვალი. 2013.

„ALRAKIS“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს პოლონელი და ავსტრიელი სტუდენტები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. უცხოელი სტუდენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოადგილეებთან ნათია ნიკლაშვილთან, ირაკლი ბარამიძესთან და ფაკულტეტების დეკანებთან გამართულ შეხვედრაზე მასპინძელი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს გაეცნენ. ახალგაზრდები სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობისა და ტურიზმის ფაკულტეტებზე ოთხ სასწავლო კურსს ერთი სემესტრის განმავლობაში გაივლიან. ამავ პროექტის ფარგლებში ბსუ-ს ექვსი სტუდენტი სასწავლებლად უცხოეთში იმყოფება, ხოლო ერთი პროფესორი და ერთი დოქტორანტი უახლოეს მომავალში შევლენ და ერსპანეთში გაემგზავრება.



ERASMUS MUNDUS-ის მეორე აქტივობის პროექტის „ALRAKIS“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სამი პოლონელი და ერთი ავსტრიელი სტუდენტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. უცხოელი სტუდენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოადგილეებთან ნათია ნიკლაშვილთან, ირაკლი ბარამიძესთან და ფაკულტეტების დეკანებთან გამართულ შეხვედრაზე მასპინძელი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს გაეცნენ. ახალგაზრდები სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობისა და ტურიზმის ფაკულტეტებზე ოთხ სასწავლო კურსს ერთი სემესტრის განმავლობაში გაივლიან. ამავ პროექტის ფარგლებში ბსუ-ს ექვსი სტუდენტი სასწავლებლად უცხოეთში იმყოფება, ხოლო ერთი პროფესორი და ერთი დოქტორანტი უახლოეს მომავალში შევლენ და ერსპანეთში გაემგზავრება.

განათლების III საერთაშორისო გამოფენა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გამართულ განათლების III საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მერაბ დიასამიძემ, პრესსამსახურის უფროსმა ნინო დოლიძემ, სტუდენტებმა: ნინო ხელაძემ, არჩილ ჯიჯავაძემ და დემიდ ფასიშვილმა აბიტურიენტებსა და ყველა დაინტერესებულ პირს უნივერსიტეტი წარუდგინეს. გააცნეს სასწავლო-სამეცნიერო პროგრამები, სწავლების პირობები, სტუდენტური ცხოვრება, გაცვლითი და სოციალური პროგრამები. დაიგეგმა თანამშრომლობის დამყარება საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, ერთობლივი პროექტების განხორციელება და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სტაჟირება. განათლების საერთაშორისო გამოფენა 15 თებერვალს გაიხსნა და მასში საქართველოსა და უცხოეთის 100-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობდა. ორდღიანი გამოფენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თბილისის მერიის ორგანიზებით გაიმართა.



ანონსი:
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 95 წლისაა
2 83.

„დიდი სურვილი მაქვს ჩვენს უნივერსიტეტში რადიოს აღდგენისა, ჩემს მეგობართან ერთად! კურსზე ვცდილობდი ამ იდეის განხორციელებას, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო ჩანაფიქრზე საბოლოოდ უარის თქმა მოგიწია. იმედია, გამორჩედიანი ენთუზიასტი სტუდენტები მსგავსი სურვილით და ეცდებიან სხვაგვარი ელფერი შესაძინონ სტუდენტურ ცხოვრებას. ერთიანი ძალისხმევით კი ყველაფერს მივაღწევთ.“ — **6 83.**

„მიყვარს კითხვა და ამასთანავე წიგნების შეძენაც. მაქვს პატარა ბიბლიოთეკა და დიდი სურვილი იმისა, რომ გავაფართოვო. ჩემი სამაგიდო წიგნია დილ კარნეგის „როგორ შევიძინო მეგობრები და როგორ მოვიმზროო ადამიანები“. ქართული ლიტერატურიდან კი განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ გამოვარჩევ.“ — **6 83.**

„ისტორია საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ ეცნობი შენი ქვეყნის წარსულს, არამედ იმიტომაც, რომ სწავლობ სხვა ქვეყნების ისტორიას, ადარებ მათ ერთმანეთს. ასე ვთქვათ, ამ სპეციალობის არჩევა მემკვიდრეობით მზდა წილად, დიდი ბაბუის — დავით ხახუტაიშვილის გზა გავაგრძელე, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ჯემალ კარალიძესაც.“ — **7 83.**

„სკოლის დამთავრებისთანავე ლანამ გადაწყვიტა, ექიმი გამხდარიყო. მან წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ის სამი წლის განმავლობაში ეუფლებოდა სტომატოლოგიის სპეციალობას. საბაზისო თუ სპეციალობის საცნებს წარმატებით, ინტერესით სწავლობდა და მაღალი აკადემიური მოსწრებით გადადიოდა კურსიდან კურსზე, მაგრამ მიხვდა, რომ მედიცინა მაინც არ იყო მისი მოწოდება. — ექიმად უნდა დაიბადოს ადამიანი“, — აცხადებს ის.“ — **7 83.**

„აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სტუდენტურ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით. 20 თებერვლიდან დაიწყო და ერთი თვე გავრძელდება ნორვეგიაში სწავლის მსურველთა რეგისტრაცია, რომლებსაც ნორვეგიულ და ქართულ პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენტური კომისია კონკურსის წესით შეარჩევს, პრიორიტეტი აკადემიურ მოსწრებას და ინგლისური ენის ცოდნას მიენიჭება. შერჩეული 4 წარმატებული სტუდენტი კი 2013-2014 სასწავლო წელს სრული დაფინანსებით ტელმარკის უნივერსიტეტში „ტურიზმის მენეჯმენტის“ სპეციალობაზე ისწავლიან.“ — **8 83.**

„ფაკულტეტზე 1500-მდე სტუდენტი ირიცხება, რომლებიც სწავლობენ 7 საბაკალავრო, 5 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამაზე. სიახლეა ისც, რომ სულ ახლახან ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. ესარგებლობ შემთხვევით და მიეულოცავ ჩემს უნივერსიტეტსა და რეგიონს, განსაკუთრებით იმ სტუდენტებს, რომლებსაც მომავალში ამ სპეციალობაზე სურთ სწავლა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს განათლების სისტემის ახალი მიდგომების შესაბამისად ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი უფასოდ ისწავლის სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე.“ — **8 83.**

დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური შაჯიბრი გაიმართა



სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის, სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის ორგანიზებითა და აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ხელშეწყობით წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში გაიმართა. შეჯიბრში ქ. ბათუმის ოცდაექვსი საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. საუკეთესოდ N9 საჯარო სკოლის გუნდი „მამულიშვილი“ დასახელდა, მეორე ადგილი N1 საჯარო სკოლის გუნდმა „მონა-სპა I“-მა მოიპოვა, ხოლო მესამე - N15 საჯარო სკოლის გუნდს „ვალკერნს“ ერგო. ღონისძიება მესამედ გაიმართა და მიზანად ისახავდა საქართველოს ისტორიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაციას. ინტელექტუალური შეჯიბრის გამარჯვებულ გუნდებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ, ხოლო მონაწილე გუნდებს - სერტიფიკატები.



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 95 წლისა

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისაგან ჩვენი სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა.

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

უმაღლესი სკოლის შექმნის რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. იგი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად ქართული ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და გაძლიერების თვალსაზრისით.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება და გაზაფხულზე

უკვე სამშობლოში დაბრუნდა, რათა ხორცი შეესხა თავისი ოცნებისათვის.

12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა “ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი” საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითა-



მაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი — სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველება-

სა და მათემატიკაში. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ. 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისის გარეუბანში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დისწულმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კოტე აფხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქმა კირიონ მეორემ.

უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია. თავად ივანე ჯავახიშვილი სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.

ახალდაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ბელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ლაშაშვიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდ-

და მე, შეუცვლელი ჯგუფგელი, რისთვისაც ქალბატონი თინათინ ყაუხჩიშვილის ირონიაც დავიმსახურე: „თავდარიგანი“ ქალი...

როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ აკადემიკოსები აკაკი შანიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი, სამწუხაროდ, ლექციებს უკვე არ კითხულობდნენ. ჩემი მასწავლებლები მათი მონაწილეობით და „მონაწილეთა მონაწილეობით“ იყვნენ, პროფესორები: მზექალა შანიძე, თინათინ ყაუხჩიშვილი, აკაკი ურუშაძე, რისმაგ გორდეზიანი, ალექსანდრე ალექსიძე, როინ მეტრეველი, დამანა მელიქიშვილი, შუქია აფრიდონიძე, გურამ რამიშვილი, ლეო მენაბდე, ორკალი შენგელია, კორნელი დანელია, ზურაბ კიკნაძე, ზაზა ალექსიძე, მარი ფიჩხაძე, ია გაგუა, ჩემი საყვარელი მასწავლებელი თინათინ გიორგობიანი (sapienti sat!)...

ბატონი რისმაგი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ზევსის როლში იყო, ბოლო სიტყვა ყოველთვის მას ეკუთვნოდა!

ერთად დავდიოდით თეატრში, კინოში, გამოფენებზე, სტუდენტურ კონფერენციებზე ღვოვში და ექსკურსიებზე - პეტერბურგში, ღამეებს ვათენებდით სხვადასხვა საოჯახო ბიბლიოთეკიდან მხოლოდ ერთი ღამით საიდუმლოდ ნათხოვარი ნიგნების კითხვაში (Свеча горела на столе, свеча горела...). რომელიღაც თაროზე, რომელიღაც საქალაქეში ახლაც მიდევს და გადასაგდებად ვერ ვიმეტებ ქალაქის ნაგლეჯს, მეორე კურსზე რეზო კიკნაძის მოწერილ ბარათს: Puella stulta es! Nunquam linguae pacem das!...", სხვა ბარათებზე არაფერს ვიტყვი, მართლაც, puella stulta! მახსოვს მზიასთან ერთად უძილოდ გათენებული

ჩემი უნივერსიტეტი

მსხ I კორპუსი. 1923 წ.



ერთი არაბული ადგაზა ამბობს, სამოთხე დედის ფეხებთან იწყებაო! ჩემთვის ამქვეყნიური სამოთხის კარი ჩემი უნივერსიტეტის, ჩემი Alma Mater-ის, ცოდნის ამ დალოცვილი ტაძრის კარიბჭით გაიღო. დღემდე მიმით ვიხსენებ უნივერსიტეტის მალღოვ კორპუსს და მისაღებ გამოცდებს აგვისტოს ხვატში. გამოცდებზე დედასთან ერთად დავდიოდი, მახსოვს, როგორ მეგულმემატიკივობდა... პირველ წელს ვერ ჩავირიცხე, საოცრად დამწყდა გული, არ დაგიძალავთ, უსამართლობის განცდაც მქონდა, სამწუხაროდ, მაშინ ასეთი დრო იყო... ის ერთი წელი ნიგნებთან გავატარე, მეორე წელს ნატვრა ამიხდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი!

ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ძირითადად, გოგონები ვსწავლობდით, კურსზე მხოლოდ რამდენიმე ვაჟი გვყავდა. ერთმანეთს გაერთიანებულ ლექციებზე ვხვდებოდით. ერთი გამორჩეულად დამამახსოვრდა, ყოველთვის ბოლო მერხზე იჯდა, პირქუში და რაღაცნაირი სევდიანი სახით, ნალღლიანი გამომეტყველებით, წვერს ატარებდა, ჩვენს ყრამულზე ელიმებოდა, ბაღლები არიანო, ჩვენზე უფროსი იყო, უკვე პოეტი, დღეს ბევრისთვის საყვარელი პოეტი, ტარიელ ხარხელაურზე ვსაუბრობ.

მახსოვს, როგორ შემოვიდა აუდიტორიაში ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე და შემოგვთავაზა მომავალ პროფესიად კლასიკური ფილოლოგია აგვერჩია, პირველი ჯგუფი ვიყავით, პირველივე სემესტრიდან რომ ავირჩიეთ სპეციალობად კლასიკური ფილოლოგია, ესეც ისტორიის ნაწილია... იმითაც ვიყავით გამორჩეულნი, რომ ყველანი წარჩინებით ვსწავლობდით. სულ ექვსნი ვიყავით: ლელა, მზია, ზაირა, ლეილა, რეზო

ჩემთვის უნივერსიტეტი სწორედ პირველი კორპუსი იყო, დაუეწიყარი უნივერსიტეტის ბაღით, ასევე, მეექვსე კორპუსი, განუყრელი ქალბატონებით, მარსელათი და დარეჯანით. მერე იყო „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“ პირველი კორპუსის ეზოს მხარეს, საოცრად კომფორტული გარემო და კეთილმოსურნე ადამიანები. ეს, მართლაც, საოცარი წლები იყო, ბევრს ეშრომობდით, ბეჯითად ვსწავლობდით ძველ ბერძნულსა და ლათინურს, მერე ორიგინალში ვკითხულობდით და ვთარგმნიდით ჰომეროსს, საფოს, სოფოკლეს, პლატონს, ოვიდიუსს, კატულუსს, სახარებას, მსგავსი ინტელექტუალური „ტკბობის“ განცდა იშვიათია...

„როლური თამაშები“ გამახსენდა, ახლა რომ ვენერგავთ თავგამოდებით, როგორც სიასლეს, ბატონი რისმაგი ხშირად მიმართავდა ამ მეთოდს. მახსოვს როგორ ვიყავი ანტიგონე, კრეონი კი ბიძინა რამიშვილი იყო, საეროზულად წავკამათდით,

ვულოცავ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს საიუბილეო თარიღს. თითქმის საუკუნეა გასული კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსებიდან. ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტს მრავალი თაობა აღუზრდია, რომელთაც ღირსეულად უღვაწიათ და უშრომიათ სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჩვენს დიდ წინაპრებს, ვინც უნივერსიტეტის მესაძირკველნი იყვნენ, შესანიშნავად ესმოდათ, რომ ლექცია წმინდათა წმინდა უნივერსიტეტში. ის სულიერი საზრდო, რითაც იკვებება სტუდენტი ახალგაზრდობის ცნობიერება, ეროვნულ ნიადაგს უნდა იყოს დაფუძნებული. არ არსებობს ქვეყნის მომავალი მეცნიერების განვითარების გარეშე. სწორედ დედაუნივერსიტეტმა დაუდო სათავე ეროვნული ინტელექტუალური აზროვნების - ქართული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას ქვეყანაში. დღესათვის ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ღვაწლი ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სხვა მიმართულებით ღირსეულად ამშვენებს მსოფლიო მეცნიერებათა მიღწევებს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალია.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალინოზა ბაქაშვილი

რია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი.

მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა სახელოვანმა მეცნიერებმა საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი საქართველოში. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის — ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

ვარდა, ჩვენს პატარა ჯგუფში თითქმის ყველა ცნობილი მამის შვილი იყო, ამდენი ფრიადის დანერას კი ყველა ერიდებოდა, სია ამოიკითხა, პირველი მზია იყო, მაშას ასული..., შემდეგი ლელა, ზაზას ასული..., რეზო, ზურაბის ძე..., ჯერი ჩემზე მიდგა, მეც წამოვდექი და ომახიანად მოვახსენე, შოთას ასული-მეთქი, გულიანად იცინა, რა თქმა უნდა, ყველამ ფრიადები დავიმსახურეთ, დამსახურებულად!

რეზო მეორე კურსიდან მუსიკამ გაიტაცა (ახლა კონსერვატორიის რექტორია), საქსაფონზე დაკვრას სწავლობდა და დიდი ჩანითი დაჰქონდა ინსტრუმენტი უნივერსიტეტში, ლექციების მერე რეპეტიციაზე მიდიოდა. დიდხანს ითმინა ბატონმა კორნელიმ, ბოლოს, სძლია ცნობისმოყვარეობამ, სად დადიხარ ყოველ პარასკევს, გამაგებინე, ამხელა ჩემოდნითო...

ახლაც ჩამესმის ბატონ ალექსანდრე ალექსიძის ბუბუნა, რაღაც სხვანაირი ხმა, პირველი კორპუსის მეორე სართულზე, აუდიტორიაში, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას რომ გვიკითხავდა, ბატონი აკაკი ურუშაძის საოცრად მკაფიო და დახვეწილი მეტყველება; მუდამ მოფუსფუსე ბატონი ირაკლი შენგელია, შინ სტუმრად რომ გვეპატიჟებოდა, გემრიელი სალათა უნდა დაგახვედროთო, ვერ მოასწრო...

მახსოვს ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის დასვენებული ნეშტი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში და ბატონ ნოდარ ლომოურის გულშიჩამწვდომი გამოსათხოვარი სიტყვები, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მინა, ჩემო დიდო მასწავლებელო!

მახსოვს ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორული საღამოები ფილარმონიაში, ეთერ თათარაიძის გამოჩენა; დიდი გასტროლები კონსერვატორიაში, ოპერისა და ბალეტის თეატრში; დიდი ფილმები კინოთეატრ „გაზაფხულში“, რომელთა ჩვენებაც მაშინ დაიწყეს; გადაჭედული აუდიტორიები აკაკი ბაქრაძის ლექციებზე; მშფოთვარე დღეები ...78 წლის აპრილში უნივერსიტეტის ბაღში და ფეხით გავლილი გზა უნივერსიტეტის ბაღიდან ჰიპოდრომის მიტინგამდე ...88 წლის ნოემბერში! კიდევ ბევრი რამ მახსოვს!

უნივერსიტეტმა საიუბილეოდ საინტერესო კრებული გამოსცა: RettuLi! (ლიტერატურული დაბრუნება) ცნობილი უნივერსიტეტელები საუბრობენ უნივერსიტეტზე. ნიგნს ბოლოში ცარიელი ფურცლები ერთვის, რუბრიკით, „ჩემი უნივერსიტეტი“, სასაუბროდ და უნივერსიტეტში გატარებული წლების გასახსენებლად გვინვევენ, მეც მომიწდა „ჩემი უნივერსიტეტის“ შესახებ მომეთხრო, იმის შესახებ, რის გამოც დღემდე სიამაყით ვამბობ: მეც უნივერსიტეტელი ვარ!

მარინა გიორგაძე, სრული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი TEMPUS-ის პროექტის HESDeSPI მონაწილე

დღევანდელი საქართველო არის ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მობილობას და საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწას თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული უამრავი პროექტი ნათელი დასტურია ამ რთული პროცესისა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ TEMPUS-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. 2010-2013 წლებში შექმნილი იყო კონსორციუმი, რომლის წევრები იკვლევდნენ უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებას სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის (პროექტი HESDeSPI).

პროექტის ზოგადი მიზანია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ისევე როგორც სოციალური პარტნიორობის ჩართვას განათლების პროცესში.

მთავარი ამოცანაა მეთოდოლოგიური რეკომენდაციების ერთობლივი და ხელმისაწვდომი სისტემის ჩამოყალიბება, რაც აამაღლებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კონკურენტუნარიანობას და მიიზიდვას სოციალური პარტნიორებს.

თანამშრომლობა სოციალურ პარტნიორებსა და პედაგოგებს შორის ისეთი განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც მოქნილი იქნება და მოერგება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, შესაბამება ევროპაში ადამიანური რესურსების განვითარების კონცეპტუალურ პოზიციას და ასევე ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიან დასაქმებას ევროკავშირის ქვეყნების დონეზე.

პროექტის მთავარი კოორდინატორი - ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტის ინსტიტუტი ISMA (ლატვია, რიგა), პრეზიდენტი - რომან დიაკონი, კოორდინატორი - სნიგდეზ იომა.

პროექტის წევრები: ლატვიის კულტურის კოლეჯი (ლატვია), გ.ვერნანდსკის სახელობის ტავრიის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა), ვლადიმერ დარის აღმოსავლეთ უკრაინის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა), კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა), ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი), ერევნის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი), კაპულის "ბოგდან პეტრიჩიუკუ ჰაშდეუს" სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოლდოვა), ალექს რუსოს სახელობის ბელცის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოლდოვა), მინჰოს უნივერსიტეტი (პორტუგალია), ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია).

საქართველოში პროექტის კოორდინატორია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), კოორდინატორი - პროფ. ინდირა ძაგანია.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

მენეჯერი - პროფ. ერმილე მესხია (რომელიც შემდეგ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა და კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის დამუშავების პროცესში ჩართო ამ სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებიც).

სამუშაო ჯგუფის წევრები: პროფ. მარინე აროშიძე, ასოც.პროფ. მანუჩარ ლორია, ას.პროფ. ნინო აროშიძე, ას.პროფ. ნანა მაზმიშვილი, ირაკლი კაცაძე.

მონაწილე ექსპერტები: ასოც.პროფ. გიორგი მასალკინი, ასოც.პროფ. ანზორ ბერიძე, პროფ. ლელა თავდგირიძე, ასოც.პროფ. ასმათ არძენაძე, ას.პროფ. დალი დობოროჯინიძე.



მაგრამ პროექტის წარმატებით განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვნის უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საგარეო დეპარტამენტს, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანსა და ხარისხის სამსახურს.

აგრეთვე პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ლინგვისტიკის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და სტუდენტური მართვლობის წევრები.

განსაკუთრებულად ასაღნიშნავია ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელის, ქალბატონი ლიკა ლლონტის მხარდაჭერა. ტემპუს-ის ეროვნული ოფისი სისტემატორად მუშაობდა პროგრამის ფექტურობის და გაძლიერების გაზრდაზე, მისი საქართველოში ევროკომისიისა და შესაბამისი ეროვნული სამსახურების მხარდაჭერის გზით.



კონკრეტულად, ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ატარებდა:

- პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და კონსულტაციებს;
- ტემპუსის პროექტების მონიტორინგს;
- მონაწილეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხელმძღვანელებთან დაინტერესებული მხარეების დიალოგში.

ერთ-ერთი ასეთი წარმატებული დიალოგი შედგა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (2011 წლის 17-20.11), რომელიც გახსნა რუს-ს რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და რომელსაც ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აიდა აბუსერიძე, საგრანტო პროექტ HESDeSPI-ის კოორდინატორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ინდირა ძაგანია, პროექტის სამუშაო ჯგუფის მენეჯერი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ერმილე მესხია, რუს-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფესორი მარინა ქორიძე, რუს-ს ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მერაბ ხალვაში, პროექტში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.



პროექტის მონაწილეები იმყოფებოდნენ ევროპის ნამყვან უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის გაცნობის მიზნით.



პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა კულტურისა და ხელოვნების სფეროს შრომის ბაზარი აჭარაში. კულტურის მენეჯმენტის სპეციალისტების დასაქმების სფეროები: კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები, საგამომცემლო სფერო, ტურისტული დაწესებულებები, მედიის საშუალებები, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებები, უცხოური ფირმები, საქველმოქმედო ფონდები, საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ამჟამად კულტურის და ხელოვნების დაწესებულებები კულტურის მენეჯერების დეფიციტს განიცდიან. პრაქტიკულად, ბათუმის და აჭარის რეგიონის კულტურის დაწესებულებებში რამდენიმე გამონაკლისის გარდა მუშაობენ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ კულტურის მენეჯმენტში.

საგრანტო პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის რეგიონში განათლებისა და დასაქმების სფეროებს შორის კავშირის შესწავლა. ჩვენთვის ცნობილია, რომ რეგიონში კულტურის მენეჯმენტის სპეციალისტების დეფიციტია. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სწორედ კულტურის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებით. ცხადია, როცა რეგიონში ამ დარგის სპეციალისტები თითქმის არა გვყავს, მათ დასაქმების დიდი პერსპექტივა აქვთ.

კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების მმართველობის სფეროში ძირითადად დასაქმებული არიან ხელოვნებისა და კულტურის დარგის სპეცია-

ლისტები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სპეციალური დიპლომირებული განათლება მენეჯმენტში. ძირითადად მიზეზი არის ის, რომ საქართველოში ბოლო წლებამდე არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა სწავლება ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე. მეზუთე წელია თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს სწავლება კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. კურსდამთავრებულთა რიცხვი იმდენად მცირეა (სულ — 100—მდე), რომ მათი დასაქმების არეალი ძირითადად თბილისის არ სცილდება.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მომზადდა კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მიმდინარე სასწავლო წლიდან მსახიობის სპეციალობის სტუდენტები ეუფლებიან დამატებით სპეციალობას კულტურის მენეჯმენტში.

2011 წელს გამოცხადდა მიღება კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მიმდინარეობს მუშაობა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საქმის და სამუზეუმო და საარქივო საქმის დიპლომირებული სპეციალისტების საგანმანათლებლო პროგრამებზე. დღეისათვის საქართველოში მოქმედი არცერთი უნივერსიტეტი არ ამზადებს ამ დარგების სპეციალისტებს. ფაქტობრივად, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, სამუზეუმო და საარქივო სფეროებში მუშაობენ პიროვნებები, რომლებიც სპეციალური უმაღლესი განათლება არა აქვთ. საქართველოში დასაქმებული საშუალო ასაკა გადაცილებული ბიბლიოთეკარების ნაწილს უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ გასული საუკუნის 90—იან წლებამდე.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას პირველ რიგში რეგიონისათვის.

ჰუმანიტარული განათლების მქონე კურსდამთავრებულებიდან შრომის ბაზარზე შედარებით იოლად დასაქმდებიან უცხოური ენის სპეციალისტები, პირველ რიგში - ინგლისურენოვანი კურსდამთავრებულები, აგრეთვე რუსულენოვანი, რომლებიც მუშაობენ თარჯიმნებად ან მდივნებად უცხოურ კომპანიებში, ნაწილობრივ - სამთავრობო და ოფიციალურ დაწესებულებებში, აეროპორტში და სხვ.

აჭარის რეგიონში ფუნქციონირებს 12 მუზეუმი, 175 ბიბლიოთეკა, 4 თეატრი, 16 გამომცემლობა. სამწუხაროდ, შეწყვეტეს ფუნქციონირება კულტურის სახლებმა, მაგრამ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა დააყენა დღის წესრიგში ცეკვის მასწავლებლის მომზადება და გადამწყვეტილია, რომ ყველა სკოლაში ბავშვებს ცეკვას ასწავლიან. ხელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებულია კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებთან ერთობლივ მუშაობას ხელშეკრულებების და მემორანდუმების საფუძველზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს აქვთ მჭიდრო საქმიანი კავშირი აჭარის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებთან: ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრი (დირექტორი თემურ კეფერაძე), ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი (მმართველი მედეა ჩარკვიანი), ბათუმის მერიის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი (დირექტორი გელა ბოლქვაძე), საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმი-ნაკრძალი (დირექტორი შოთა მამულაძე) და სხვ. დამსაქმებლები კმაყოფილებას გამოთქვამენ უნივერსიტეტებში შემუშავებული თანამედროვე ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული

პროგრამების შესახებ, რომლებშიც გაიზარდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე გათვლილი კურსების რაოდენობა. ეს კი, რა თქმა უნდა, დადებითად აისახა კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში HESDeSPI-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული იყო შემდეგი დასკვნები:

1) შრომის ბაზარი თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებისა და ევროპაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში აუცილებლად მოითხოვს მაღალ კვალიფიციური კადრების მომზადებას ჰუმანიტარული მეცნიერებათა და ხელოვნების სფეროში, რაც რეალურად შესაძლებელია დამსაქმებლებთან სოციალური პარტნიორობის და სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის საფუძველზე.

2) დამსაქმებლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლო პროცესში კონკრეტული პროგრამის მოქმედების ყველა ეტაპზე (მარკეტინგული კვლევა, მიზნებისა და ამოცანების დამუშავება, პროგრამის სტრუქტურის დაზუსტება, სასწავლო მოდულებისა და დისციპლინების არჩევა, პროფესიული პრაქტიკის ორგანიზება, პროგრამის აპრობაცია, კურსდამთავრებულთა და ახალგაზრდა სპეციალისტების ტესტირება).

3) ახალგაზრდა სპეციალისტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაძლებელია სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის შედეგად, რაც ახალგაზრდა სპეციალისტებს ადაპტირების საშუალებას აძლევს სწრაფად ცვალებად სოციალურ გარემოში.

4) ძველი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ თეორია ჭარბობს პრაქტიკას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობა არის დაბალი ხარისხის და აუცილებლად უნდა იყოს გამოუმუშავებული საერთო საგანმანათლებლო და პროფესიული სტანდარტები ჰუმანიტარულ სფეროში.

5) სწრაფი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ინტენსიური გლობალიზაციის პირობებში ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და კულტურის სფერო ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან მხოლოდ საერთაშორისო კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ფლობა, მშობლიური კულტურის ღრმა ცოდნა და უცხო კულტურის პატივისცემა და დაფასება ხელს უწყობს ისეთი კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელიც გახდება მსოფლიო საზოგადოების აქტიური წევრი.

დამუშავებული იყო ახალი მოდულები (ინოვაციური ტექნიკოლოგიები, კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი) და პროგრამები (კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი - საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები), რომლის აპრობაციის შედეგად იყო ჩამოყალიბებული შემდეგი ნინადადებები:

1) მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადების ეფექტურობის ამაღლება ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და კულტურის სფეროში, ითხოვს სოციალური პარტნიორობის (დამსაქმებლების) მონაწილეობას სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის ყველა ეტაპზე;

ა) უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მარკეტინგული კვლევები, რომლებიც ამტკიცებენ მოცემული სპეციალობის აუცილებლობას;

ბ) დამსაქმებლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კონკრეტული პროგრამის სფეროს და ამოცანების შემუშავებაში, ასევე სასწავლო მოდულების შედგენასა და დისციპლინების შერჩევაში;

გ) სასწავლო დაწესებულებების თანამშრომლობის მნიშვნელოვანი მხარე უნდა გახდეს პროფესიული პრაქტიკა, რომელსაც წარმატებული ორგანიზებით ატარებენ დამსაქმებლები, რომლებიც თვითონ არიან დაინტერესებული საუკეთესო კადრების შერჩევით;

დ) სოციალური პარტნიორობის წარმომადგენლებს შეეძლება შეაფასონ მომავალი სპეციალისტების შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებსაც დაეუფლნენ ახალგაზრდა სპეციალისტები (სტუდენტების, პრაქტიკანტების და ახალგაზრდა სპეციალისტების ტესტირება);

ე) დიდ ინტერესს იწვევს სისტემატორი შეხვედრები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებიც უკვე მუშაობენ სპეციალობის მიხედვით;

ვ) სასურველია მოვიზიდოთ დამსაქმებლები ახალგაზრდა პროფკავშირების ორგანიზაციასთან და სტუდენტების დასაქმების ცენტრებთან.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და კულტურის სფეროში მარალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადების სპეციფიკა და გლობალიზაციის სფერო ითხოვს ორიენტირებას დასაქმების ბაზარზე, რომელიც კარნახობს პირობების მომზადების აუცილებლობას იმისათვის, რომ შედარებით იოლი იყოს ადაპტაცია სწრაფად ცვალებად სოციალურ გარემოში. ამ მიზნით ყველა პროგრამის სტრუქტურული კომპონენტი უნდა იყოს:

- ა) ძირითადი პროგრამის სასწავლო მოდულები;
- ბ) დამატებითი პროგრამის სასწავლო მოდულები;
- გ) სტუდენტის მიერ არჩეული დისციპლინები.

2) სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია აუცილებლად უნდა შეიცავდეს სასწავლო მოდულების და დისციპლინების შემუშავებას, რომლებიც გათვლილია მომზადი სპეციალისტების ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და კომუნიკაციურ კომპეტენციებზე, ამისათვის ყველა ქვეყანაში უნდა იყოს შემუშავებული, აპრობირებული და დამტკიცებული სახელმწიფო სტანდარტები საკვლევი ციკლის ყველა სპეციალობების მიხედვით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დაემთხვევა არსებულ ევროპულ სტანდარტებს ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც არიან ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის მონაწილეები.

3) ჰუმანიტარულ მეცნიერებებისა და კულტურის სფეროში მარალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადების ეფექტურობის ამაღლება ითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას და კულტურათმცოდნეობის ურთიერთობის უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც საუკლებელ პრობაა ნაყოფიერი პროფესიული მოღვაწეობისთვის თანამედროვე პოლიკულტურულ სამყაროში.

HESDeSPI-ის პროექტი სრულდება 2013 წლის გაზაფხულზე. ამ პერიოდისათვის ჩატარდება მონაწილე ქვეყნების შემაჯამებელი შეხვედრები, სადაც მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ ნაყოფიერი შრომის შედეგებს.

**სლავისტიკის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
პროფესორი მარინა აროშიძე**



ნიხო ბერძენიშვილის ინსტიტუტი 2012 წელს

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს 2011 წლის იანვრიდან. მანამდე, 2006 წლიდან, ინსტიტუტი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შედიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემადგენლობაში, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში მყოფი ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფლებამონაცვლე.

უნივერსიტეტზე შეერთების დღიდან ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი შევიდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრში როგორც ნიკო ბერძენიშვილის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მართლმართლება. 2012 წლის ნოემბრიდან, ცენტრის რეორგანიზებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით მიმართულება ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად — „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტად“ უნივერსიტეტში შემავალ სხვა ინსტიტუტებთან (აგარული და მეცხრანული ტექნოლოგიების, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტები) ერთად.

2012 წლის პირველი ოქტომბრიდან ინსტიტუტი განთავსდა უნივერსიტეტის ყოფილი საერთო საცხოვრებლის გარემონტებულ შენობაში (მეორე სართული), სადაც მას 9 ოთახი უკავია. მანამდე კი ინსტიტუტი უნივერსიტეტის ძირითადი კორპუსის მესამე სართულზე მდებარეობდა. ახალ შენობაში ინსტიტუტს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედარებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა.

საანგარიშო პერიოდში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი შედგებოდა ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის, ისტორიისა და არქეოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებებისაგან.

ინსტიტუტში დასაქმებულია 28 თანამშრომელი, რომელთა შორის 22 მეცნიერ-თანამშრომელია (7 მთავარი, 10 უფროსი, 5 მეცნიერი თანამშრომელი). დანარჩენს ტექნიკური პერსონალი შეადგენს.

მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური დამაბრკოლებელი პირობებისა თუ მიზეზების მიუხედავად, 2012 წელს ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარა წლიურ სამეცნიერო ნაშრომთა (წლიური თემატიკა) შესრულებაში, ბეჭდური პროდუქციის მომზადება — გამოცემაში, საერთაშორისო და სხვა სახის სამეცნიერო კონფერენციების მომზადება — ჩატარებასა და საექსპედიციო საქმიანობაში.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტის სამივე განყოფილება ძირითადად მუშაობდა საუნივერსიტეტო სასწავლო — სამეცნიერო პროექტის — ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოს — „აჭარა“ ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ მომზადებაზე. ნაშრომზე მუშაობა დაიწყო 2011 წელს და დასრულდა 2012 წელს. უკვე მომზადებულია ნაშრომის ტექსტი და საილუსტრაციო ნაწილი (ფოტოსურათები). 2013 წლის პირველ კვარტალში ნაშრომი უნივერსიტეტის გამომცემლობას გადაეცემა დასაბეჭდად.

„აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პირველად მზადდება. მისი ძირითადი მიზანია ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს მიანიჭოს ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი ცნობები აჭარის გეოგრაფიაზე, ფლორასა და ფაუნაზე, ბუნების დაცულ ზონებზე, საკურორტო-რეკრეაციულ რესურსებზე, ტურიზმის განვითარების ფორმებსა და პერსპექტივებზე, ეთნოგრაფიულ (ეთნოლოგიურ) ყოფაზე, მატერიალურ და სულიერ კულტურაზე, ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე, ფოლკლორსა და დიალექტოლოგიას, დემოგრაფიულ-მიგრაციულ პროცესებზე, კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების საკითხებზე, ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტებზე. გამოკვლევას დაერთვის რეკომენდაციები, რუკები, სქემები, საძიებლები.

ტურიზმის სახელმძღვანელოს სხვა ფუნქციაც გააჩნია. იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ტურისტებს, ტურისტ-ექსკურსიამდოლებს, აჭარის ტურიზმით დაინტერესებულ პირებს.

ტურიზმის დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადებაში ჩართული იყო 18 მეცნიერ თანამშრომელი. მათ შორის: ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილებიდან 5 (ნოდარ კახიძე, ჯემალ ვარშლომიძე, ნილა ჩელეძე, თამილა ლომთათიძე, რუსლან ბარამიძე), ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებიდან 8 (ბიჭიკო დიასამიძე, ოთარ თურმანიძე, უჩა ოქრობირიძე, სიმონ გოგბიძე, ნინო ინაიშვილი, გიორგი თავაძაშვილი, მაია ჭიჭილეიშვილი, ირინა ვარშლომიძე), ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებიდან 5 (მუშანა ფუტყარაძე, ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტყარაძე, ციალა ნარაკიძე, გიორგი მახარაშვილი).

ტურიზმის ფაკულტეტის დამხმარე სახელმძღვანელოს გარდა ინსტიტუტში დამუშავდა 3 წლიური თემა. ერთი ეთნოლოგიისა და სოციოლოგიის განყოფილებაში — „ბათუმში ტურიზმის განვითარების კონკრეტულ — სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები“ (შემსრულებლები ნუგზარ ჩხაიძე, კონსტანტინე ლლონტი), ორი ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებაში: „აჭარული საუნჯე“ (შემსრულებლები: მუშანა ფუტყარაძე, ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტყარაძე, ციალა ნარაკიძე), „სამხრეთ — დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ესპანოლოგიური ლეგენდები“ (გიორგი მახარაშვილი).

პირველ თემაში შესწავლილი და გაანალიზებულია არა მარტო უშუალოდ ტურისტ — დამსვენებელთა, არამედ გამქირავებელ და საერთოდ, ბათუმელ მკვიდრთა აზრი ქალაქ ბათუმში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქ ბათუმის მოსახლეობის იმ კატეგორიის წარმომადგენლების (გამქირავებლები) აზრს, რომელთაც აქტიური შეხება აქვთ ტურიზმის ბიზნესთან. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ტურისტულ სეზონზე ტურისტთა ძირითადი მასა, როგორც ეს ბათუმის მაგალითზე გაირკვა, კერძო სექტორზე მოდის და არა სასტუმროებზე, სადაც ტურისტ — დამსვენებელთა ფინანსური თუ სხვა პირობები შედარებით არ არის ხელსაყრელი.

სოციოლოგიურ გამოკითხვებში ერთ — ერთი მთავარი ყურადღება

ექცეოდა ბათუმელთა დამოკიდებულებას საერთოდ ტურიზმის განვითარებაზე, ბინების ტურისტებთან მიქირავებაზე, მომსახურების ფორმებზე, ტურისტთა მოზიდვის ფაქტორებზე. გამოკვლევაში მოტანილია დიაგრამები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ქალაქ ბათუმში ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

მეორე თემა („აჭარული საუნჯე“) წარმოადგენს ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცული 1958 — 1960 წლების ექსპედიციების დროს ზემო აჭარაში შეკრებილი მასალების მეცნიერული დამუშავებით (შესავალი წერილი, ლექსიკონი, საძიებლები) შედგენილი კრებული პირველ ნაწილს (შემსრულებლები: მუშანა ფუტყარაძე, ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტყარაძე, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი, გიორგი მახარაშვილი). კრებული გამოიცემა 2013 წლის პირველ ნახევარში. ამავე წელს დაიწება მუშაობა მასალების მეორე ნივნის მომზადებაზე.

მესამე თემაში შესწავლილია სამხრეთ — დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ესპანოლოგიური ლეგენდების ვარიანტები. ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ფონდებში დაცული მასალების მიხედვით.

ინსტიტუტმა საექსპედიციო და სხვა სახის სავსე შემკრებლობითი მუშაობა ჩაატარა. საექსპედიციო მუშაობა ძირითადად წარმართა ტურიზმის დასახლებული დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადებასთან დაკავშირებული დამატებითი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მასალების მოძიებისათვის. ამ მიზნით მოენყო მოკლევადიანი ექსპედიცია აჭარის მუნიციპალიტეტებში, რომელშიც მონაწილეობდნენ ინსტიტუტის სამივე განყოფილების წარმომადგენლები.

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები ნინო ინაიშვილი, გიორგი თავაძაშვილი, ირინე ვარშლომიძე მონაწილეობდნენ გონიო — აფსაროსის არქეოლოგიურ ექსპედიცია (2012 წლის აგვისტო) უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორებთან და ისტორიის სპეციალისტების სტუდენტებთან ერთად. ინსტიტუტის არქეოლოგებს მინდობილი ჰქონდათ გონიოს ციხის ცენტრალური ნაწილის გათხრები. მოძიებული მასალები მნიშვნელოვნად ამდიდრებს გონიოს ციხის ისტორიის შესწავლას.

ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის, ფოლკლორულ — დიალექტოლოგიის განყოფილებების მეცნიერ-თანამშრომლები რუსლან ბარამიძე და გიორგი მახარაშვილი მიწვეული იყვნენ თურქეთის რესპუბლიკის ორდუსა და სამსუხის ვილაიეთებში მონყოილ უნივერსიტეტის ექსპედიციაში (5 — 25 ივლისი). იგი განხორციელდა პროექტის — „მუშაჯირობის (გადსახლების) ისტორია და ქართველ მუშაჯირთა შტამომავლების თანამედროვე თურქეთში“ ფარგლებში. მასალები შეიკრიბა მუშაჯირ ქართველთა ყოფის, ფოლკლორის, სოციალური ურთიერთობის და სხვა საკითხებზე.

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიკოსი სიმონ გოგბიძე ორჯერ (პარიზ — მაისი) მონაწილეობდა არქეოლოგთა ექსპედიციაში, რომელიც ჭანეთ — ლაზეთში (მაკრიალი, ზოფა, არქავე, რიზე) განხორციელდა ძველი საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების შესასწავლად.

ორდღიანი სამეცნიერო მივლინება ჩატარდა მაღალმთიანი ბეშუმის საკურორტო ალპური დასახლების ზონაში, სადაც ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული „შუამთობა“. მასში მონაწილეობდნენ ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევისა და ისტორია — არქეოლოგიის განყოფილებათა მეცნიერი თანამშრომლები: ნოდარ კახიძე, როინ მალაყაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ფოტოგრაფი გივი ნახუცრიშვილი. ჩანერილ იქნა ახალი მასალები შუამთობაზე. გადაღებულია დღესასწაულის მსვლელობა მისთვის დამახასიათებელი მომენტებით (ხალხურ — მხატვრული თვითშეგამოხატვის ანსამბლთა გამოსვლები, სპორტული შეჯიბრებები დოღში, ძალოსნობაში). გადაღებულ იქნა გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიდამოების ალპური დასახლებები, შუამთობის მსვლელობა, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლის ხედები, მატერიალური კულტურის ძეგლები. მასალები გამოყენებული იქნება ტურიზმის დამხმარე სახელმძღვანელოში, სხვა გამოცემებში.



წარმატებული აღმოჩნდა ნოდარ კახიძის, როინ მალაყაძის, ჯემალ ვარშლომიძისა და ფოტოგრაფ გივი ნახუცრიშვილის ერთდღიანი (5 მაისი) მუშაობა ქედაში. ჩანერილი და გადაღებულია საინტერესო მასალები ქედის ისტორიულ — ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დაფიქსირდა ამირან დიასამიძის სახლში დაცული მრავალფეროვანი სახელოსნო იარაღები, რომლებიც დამზადებულია მისი მამის — ხემიდ ფერათისძის დიასამიძის მიერ. იგი სახლის მშენებელი ცნობილი ხის ხელოსანი ყოფილა, რომელიც 75 წლისა გარდაიცვალა 1986 წელს. მას ეს იარაღები ყაზახეთში (პახტაარალის რაიონი) გასახლების დროს თან წაუღია და გადასახლებიდან დაბრუნებისას უკან წამოუღია. იარაღები ნივთიერი კულტურის მეტად იშვიათი და მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც არ უნდა დაიკარგოს. მის მეპატრონეს — ბატონ ამირან დიასამიძეს გადაეცა ექსპედიციის მოკრძალებული თხოვნა ამ იარაღების ქედის მუზეუმისათვის გადაცემაზე. ხელსაწყო იარაღები

ხის სამშენებლო ხელოვნების იშვიათი ნიმუშებია, რომლებიც მხაველს ნათელ წარმოდგენას მისცემს მრავალსაუკუნოვან აჭარულ (ქართულ) ხითხურობის ტრადიციებზე, სახლთმშენებლობის ისტორიაზე.



ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა გამოცემაში ქართულ და უცხოურ ენებზე გამოიცა 5 მონოგრაფია, 2 ნარკვევი, 31 სამეცნიერო სტატია. გამოსაცემად მომზადდა 4 მონოგრაფია, 17 სამეცნიერო სტატია.

მონოგრაფიების ავტორები არიან ოთარ თურმანიძე („აჭარის პოლიტიკური ისტორია (1921 — 1940)“. გამოცემლობა „აჭარა“. ბათუმი, 2012, 412 გვერდი), გიორგი თავაძაშვილი („ძველი სადგომები სამხრეთ — დასავლეთ საქართველოს ახალმავლებურ ტერასაზე.“ — სამხრეთ — დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, 21. თბილისი, 2012), მუშანა ფუტყარაძე („სტამბოლის ქართული საენა“. გამოცემლობა არტანუჯი. თბილისი, 2012 (ილუსტრაციები) ტექსტი 81 გვერდი, ილუსტრაციები — 60). ISTANBUL GBRCB OCACI. თბილისი. 2012 (ქართული წიგნის თურქული თარგმანი), ნარგიზ ახვლედიანი („ახვლედიანი აჭარაში.“ გამოცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2012, 153 გვერდი, ილუსტრაციები).




პროფესორ ოთარ თურმანიძის ნაშრომში შესწავლილია აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია 1921-1940 წლებში. გაშუქებულია საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და მისი თავისებურებანი აჭარაში. პროფესორ მუშანა ფუტყარაძის წიგნი ეძღვნება სტამბოლის ქართული საენის დიდი ქომაგის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და ცნობილი ქველმოქმედის სიმონ ზაზაძისა და სტამბოლში მოღვაწე ზაზაძეების, აგრეთვე საქართველო — თურქეთის კულტურისა და განათლების ფონდის ღვაწლის წარმოჩენას ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასა და კვლევაში. ნარგიზ ახვლედიანის წიგნი დახასიათებულია აჭარაში მცხოვრები ახვლედიანების ისტორია. გიორგი თავაძაშვილის ნაშრომში არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზეხულებზე აღმოჩენილი დიუნური სადგომები, ტერასნარმოქმნის კავშირი და გავლენა ადრერკინის ხანის კოლხეთის სამეურნეო სახის ჩამოყალიბების პროცესებზე.

ინსტიტუტის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხრეთ — დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მეოთხე ტომის („აჭარა. IV. 1921 — 1990 წლები“) მომზადება და გამოცემა. ოთხტომეულის პირველი — მესამე ტომები 2007 — 2009 წლებში გამოიცა. აჭარის ისტორიის ოთხტომეულის გამოცემა მნიშვნელოვანი წვლილია რეგიონის მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში. დაგეგმილია ოთხტომეულის ბაზაზე მომზადდეს და გამოიცეს ერთტომეული ქართულ და უცხო (რუსულ, ინგლისურ) ენებზე.

გამოიცა მეორე წიგნი — „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, რომელშიც შესულია ბათუმთან დაკავშირებული და ბათუმში ჩატარებული მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები. მასში მიმოხილულია ბათუმზე არსებული წყაროები და ისტორიოგრაფია, ეკონომიკისა და ტურიზმის, არქეოლოგიის, ისტორიისა და ანთროპოლოგიის, განათლების, კულტურის, რელიგიისა და სხვა საკითხები.

2012 წელს მომზადდა და 2013 წელს გამოსაცემად გადაეცა შემდეგი ნაშრომები: ნოდარ კახიძის „ეტრატზე ამეცყველებული ისტორია“; ნანული ნოღაიდელის „ლექსიკური ძიებანი (აჭარული დიალექტის ლექსიკა)“; უჩა ოქრობირიძის და ოლეგ ჯი-

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)





(დასაწყისი მე-4 გვერდზე)

ბაშვილის „აჭარა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1988-1993 წლები) დასურათებული სახით; „აჭარული საუნჯე“, II (შუშანა ფუტკარაძე, ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე, გიორგი მახარაშვილი).

ინსტიტუტის ეთნოლოგების მიერ გამოსაცემად მომზადდა ფოტოალბომი „ეთნოგრაფიული აჭარა“, რომელიც მომზადდა და იბეჭდება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით.

მრავალფეროვანია ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო სტატიები. მათში ასახულია აჭარის და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის საკითხები, რომელთა დიდი ნაწილი აგებულია სამეცნიერო ექსპედიციებისა და მივლინებების პერიოდში მოძიებულ მასალებზე, სხვა მონაცემებზე. ამ მხრივ შედარებით კარგად იმუშავეს ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომლებმა, რომლებმაც წლის მანძილზე სხვადასხვა გამოცემაში 16 სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნეს. ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებმა დაბეჭდეს 11 სამეცნიერო სტატია, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებმა — 6.



ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო და სხვა სახის სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებშიც წაკითხული იქნა ინსტიტუტის 18 მეცნიერ-თანამშრომლის 39 მოხსენება. მათ შორის საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხულია 34, ადგილობრივ კონფერენციაზე — 5 მოხსენება. ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, ეთნოლოგებმა, ფოლკლორისტებმა და დიალექტოლოგებმა მოხსენებები წაკითხეს შემდეგ სამეცნიერო კონფერენციებზე: „ტაო-კლარჯეთი“. II საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი) (შუშანა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტკარაძე); „საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდლობა და პერსპექტივები: ახმედ ოზქან მეღაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია“ (თბილისი) (ნაილა ჩელებაძე, როინ მალაყმაძე); ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია“ (ბათუმი) (ბიჭიკო დიასამიძე, ნოდარ კახიძე, თამილა ლომთათიძე, უჩა ოქროპირიძე, გიორგი მახარაშვილი); მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“ (ბათუმი) (შუშანა ფუტკარაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ნოდარ კახიძე, ნაილა ჩელებაძე, ნინო ინაიშვილი, როინ მალაყმაძე, ოთარ თურმანიძე, უჩა ოქროპირიძე, სიმონ გოგიტიძე, ოლეგ ჯიბაშვილი, მაია ჭიჭილეიშვილი, ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტკარაძე, ნარგიზ ახვლედიანი); „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) საარქივო დოკუმენტებში: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“ (ბათუმი) (ბიჭიკო დიასამიძე, ოთარ თურმანიძე, თამილა ლომთათიძე); „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა (თბილისი) (რუსლან ბარამიძე); დოცენტ ჯემალ ნოღაიდელის დაბადების 105 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, ბათუმი) (შუშანა ფუტკარაძე, ნოდარ კახიძე, ჯემალ ვარშალომიძე); „პროფესორ შუშანა ფუტკარაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია“ (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი) (ბიჭიკო დიასამიძე, ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტკარაძე).

2012 წელს ინსტიტუტმა მესამედ ჩაატარა საერთაშორისო კონ-



ფერენცია, რომელიც მიეძღვნა ბათუმის, როგორც მსოფლიოს უძველესი სანავსადგურო ქალაქის, წარსულისა და თანამედროვეობის შესწავლას. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები. კონფერენციის მასალები 2013 წლის პირველ კვარტალში გამოიცემა კრებულის სახით.

ინსტიტუტი ყოველწლიურად მონაწილეობს საგრანტო პროექტებში. 2013 წელსაც ინსტიტუტმა ორი საგრანტო თემა წარადგინა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. ერთია ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებების ერთობლივი პროექტი „მურღულის ხეობა“. პროექტი მიზნად ისახავს თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი) მოქცეული ქართველებით დასახლებული ძირძველი ხეობის ეთნოგრაფიულად და ფოლკლორულ—დიალექტოლოგიურად შეს-

წავლას. მასში მონაწილეობს 5 ეთნოგრაფი (ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე, ჯემალ ვარშალომიძე, ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე) და 3 ფოლკლორისტი და დიალექტოლოგი (შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე). გრანტის პროექტის დაფინანსების საკითხი ჯერჯერობით უცნობია.

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებაში მომზადდა პროექტი — „ქრისტიანობა აჭარაში“ (ემსრულებლები: ბიჭიკო დიასამიძე, უჩა ოქროპირიძე, სიმონ გოგიტიძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ნოდარ კახიძე).

2012 წელს დასრულდა მუშაობა 2011—2013 წლების ერთობლივ საგრანტო პროექტზე — „სწავლა—სწავლების ხარისხის გაუმჯობესება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომლის მიზანია უნივერსიტეტში შიდაშეფასების სისტემის გაუმჯობესება, ახალი მოდელის მომზადება, მისი ტესტირება და ამოქმედება. პროექტი მზადდება SIDA—სა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მეგზვერენტის ინსტიტუტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. ინსტიტუტიდან პროექტში მონაწილეობდა 4 მეცნიერ-თანამშრომელი (ნინო ინაიშვილი, რუსლან ბარამიძე, თამილა ლომთათიძე, გიორგი მახარაშვილი).

ორი მეცნიერ-თანამშრომელი (რუსლან ბარამიძე, გიორგი მახარაშვილი) ჩართული იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012—2013 წლების საგრანტო პროექტში — „მუშავირობის (გადასახლების) ისტორია და ქართველ მუშავართა შთამომავლები თურქეთში“. პროექტის მიზანია მუშავირი ქართველების კომპლექსური მეცნიერული შესწავლა. რუსლან ბარამიძემ მოიპოვა პრეზიდენტის გრანტი, რომელიც ითვალისწინებს 2012—2013 წლებში მუსლიმური თემის შესწავლას საქართველოში.

ინსტიტუტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მონაცემების სქემის“ პროექტის შედგენაში, რომლის მიხედვით მომზადდა საკითხები: „ნაკრძალები და ბუნების დაცული ზონები აჭარაში“ (ნოდარ კახიძე), „აჭარის ისტორიული წარსულიდან“ (ოლეგ ჯიბაშვილი), ტოპონიმ აჭარის შესახებ“ (ციალა ნარაკიძე), „ბათუმის ისტორიულ—ტოპონომიკური მიმოხილვა“ (ნანული ნოღაიდელი), „ქობულეთის ეტიმოლოგია“ (შუშანა ფუტკარაძე). პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის გამოკითხვაში პრობლემური და პრიორიტეტული სფეროების გამოვლენის მიზნით პროექტის მომზადებაში, მის პრეზენტაციაში აქტიურად მონაწილეობდა რუსლან ბარამიძე. იგი პროექტში ექსპერტის როლსაც ასრულებდა.

მნიშვნელოვანი იყო მეცნიერ-თანამშრომელთა აქტივობა სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემაში, რომლებიც ინსტიტუტში ჩატარებულ სამეცნიერო—კვლევით საქმიანობას და საზოგადოებრივ—პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეეხებოდა.

აჭარის ტელევიზიის დილის ტალღაზე გადაიცა საუბრები: ხალხური სამზარეულო აჭარაში (ნოდარ კახიძე, ჯემალ ვარშალომიძე, 22 იანვარი), აჭარული ჩაცმულობა (ნაილა ჩელებაძე, 12 თებერვალი), XII-XVII საუკუნეების წერილობითი ძეგლის — „ტბეთის სულთა მატანიის“ მნიშვნელობის შესახებ (ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე, 18 თებერვალი), სოფელ გულეების (ქედის მუნიციპალიტეტი) მეჩეთის ქართული ორნამენტით (ვახისა და ჯვრის გამოსახულებები) შემკულობაზე, ბუხრის შემკულობასა და ბუხართან დაკავშირებულ წეს—ჩვეულებებზე (ჯემალ ვარშალომიძე, ავეისტო, ოქტომბერი). ტელეკომ „ერას“ სტუდია „ქვაკუთხედის“ ეთერში გადაიცა ნოდარ კახიძისა და ბიჭიკო დიასამიძის ვრცელი ინტერვიუ ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის პერსპექტივებზე (8 დეკემბერი). ამავე არხით გადაიცა უჩა ოქროპირიძის შემეცნებითი ხასიათის სამი და სიმონ გოგიტიძის ერთი საუბარი.

ერთი კვირით (2—9 ივლისი) სტამბოლში იმყოფებოდა პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, რომელიც თბილისელ პროფესორებთან (ბუბა კუდავა, გიორგო საითიძე, ნინო მინიშვილი) ერთად მუშაობდა სტამბოლის ქართულ საგანგებო დაცული მიმონერის დოკუმენტებზე. მუშაობის ამსახველი სიუჟეტი შუშანა ფუტკარაძის მიერ გადაიცა ტელეკომ „რუსთავი—2“-ის მიერ. შუშანა ფუტკარაძემ მისცა ინტერვიუები „საპატრიარქოს ტელევიზიას“, „რუსთავი—2“-ს, „იმედს“, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“. გადაცემები შეეხებოდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული მისი წიგნის („სტამბოლის ქართული საგანგ“) პრეზენტაციას.

სატელევიზიო გადაცემებში განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციოლოგ ნუგზარ ჩხაიძის მონაწილეობა. იგი „თV-25“-ის არხზე მოწყობილი დიალოგების ხშირი სტუმარი იყო. გადაცემები შეეხებოდა აჭარის საზოგადოებრივ—პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. 9 აპრილის ამებთან დაკავშირებით მან ვრცელი ინტერვიუ მისცა რადიო „თავისუფლებას“. აჭარის სატელევიზიო პროექტში — „სახლი ძველ ბათუმში“ აქტიურად თანამშრომლობდა მაია ჭიჭილეიშვილი.

ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილებაში მომზადდა გამოსაცემად ჟურნალ „მაჭახელის“ მე—7 ნომერი (რედაქტორი ნოდარ კახიძე, რედაქტორის მოადგილე როინ მალაყმაძე), რომელიც მიძღვნილია „მაჭახელობის“ ყოველწლიური დღესასწაულისადმი. ჟურნალი მიმდინარე წელს დაიბეჭდება.

2012 წლის 4 თებერვალს თბილისი ბანკის შენობაში ჩატარდა ამ ჟურნალის მე—6 ნომრის პრეზენტაცია, რომელსაც ორგანიზაცია გაუწია ჟურნალის სარედაქციო საბჭომ. პრეზენტაცია გახსნა როინ მალაყმაძემ. ჟურნალის შესახებ კი ინფორმაცია გააკეთა ნოდარ კახიძემ. პრეზენტაციის შესახებ ინფორმაციები გადაიცა აჭარის „აჭარა“,



„თV-25“ და „იმედის“ ტელეარხებით. პრეზენტაციაზე ფართო წარმომადგენლობა მონაწილეობდა.

ორი მეცნიერ-თანამშრომელი — ნოდარ კახიძე და როინ მალაყმაძე მონაწილეობდნენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის ესკიზის (გერბი და დროშა) შესარჩევი კონკურსის ჩამტარებელი და შემუშავებული კომისიის შემადგენლობაში. ესკიზი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მიერ.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სარედაქციო კოლეგიების საქმიანობაში და გამოქვეყნებულ ნაშრომთა რეცენზირებაში.

2012 წელს დაიწყო და 2013 წელს დამთავრდება მუშაობა ფოტო და ვიდეო პროექტებზე „სხალთა—ხიხანისწყლის ხეობა“ და „სოფელი ჩვენი საფიქრალი“ (სოფელი კვიახიძეები). პროექტებს ამზადებს ფოტოგრაფი გივი ნახუცრიშვილი.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და მთლიანად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსის, პროფესორ—ემერიტუსის შუშანა ფუტკარაძის დაბადების 70 და სამეცნიერო—პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. იუბილარის სამეცნიერო—პედაგოგიურ საქმიანობაში შეტანილ წვლილზე ისაუბრეს როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის, ახალციხის უნივერსიტეტების, ასევე საზღვარგარეთის (ირანი, თურქეთი) სამეცნიერო ცენტრებიდან ჩამოსულმა წარმომადგენლებმა. იუბილარს მიესალმნენ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან, საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტროდან, საქართველოს საპატრიარქოდან.

ინსტიტუტის 12 მეცნიერი თანამშრომელი ჩაბმულია სალექციო საქმიანობაში. ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ ბიჭიკო დიასამიძე („დამხმარე ისტორიული დისციპლინები“, ისტორიის სპეციალობის მეორე კურსი), გიორგი თავამაშვილი (თეორიული კურსი არქეოლოგიაში, ისტორიის სპეციალობა), ნუგზარ ჩხაიძე (სოციოლოგია), გიორგი მახარაშვილი („ქართული ხალხური ეპოსი“, „ქართული სიტყვიერების ძირითადი ფანერები“, დოქტორანტურა).

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში კი ლექციებს ატარებენ ნაილა ჩელებაძე („საქართველოს ეთნოლოგია და კულტურული ანთროპოლოგია“), როინ მალაყმაძე, უჩა ოქროპირიძე, ოლეგ ჯიბაშვილი („საქართველოს ისტორია“), ელზა ფუტკარაძე („ახალი ქართული ენა“, „ქართველოლოგიის შესავალი“), კონსტანტინე ლლონტი („პიზნესის საფუძვლები“, მარკეტინგის საფუძვლები“). ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში კი მაია ჭიჭილეიშვილი („ქართული ხელოვნების ისტორია“), ნინო ინაიშვილი („ახტიკური ხანის არქეოლოგია“, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“).

როგორც აღინიშნა, ინსტიტუტი 2012 წლის ოქტომბრიდან განთავსებულია უნივერსიტეტის ყოფილი საერთო საცხოვრებლის გარემონტებულ შენობაში (II სართული). ამჟამად ინსტიტუტის განკარგულებაშია 6 პერსონალური კომპიუტერი, 2 ლეპტოპი, 2 ქსეროქსი, 3 ფოტოაპარატი, ერთი ვიდეოკამერა, 1 თორმეტ ადგილიანი ავტომანქანა (ფორდ—ტრანზიტი). სასურველი კი იქნებოდა ყველა მეცნიერ-თანამშრომელს ჰქონდეს პერსონალური კომპიუტერი, ფოტოაპარატი, დიქტოფონი, სხვა ტექნიკური აღჭურვილობა. ინსტიტუტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დაპირების შესრულების მოლოდინშია.

დასანანია, რომ ინსტიტუტმა უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ ვერ შეინარჩუნა ის ორსართულიანი შენობა (ნინოშვილის ქუჩა, #23), რომელშიც იგი დაფუძნდა 1958 წელს, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემავალი სამეცნიერო—კვლევითი დაწესებულება. ამ შენობაში ინსტიტუტი 2011 წლამდე ფუნქციონირებდა. ჯერჯერობით უშედეგო ჩანს ინსტიტუტის მოთხოვნა მისი ყოფილი შენობის უკან დაბრუნებაზე. იმედს არ ვკარგავთ, რომ უკანონოდ წართმეული შენობა ინსტიტუტს დაუბრუნდება.

ამით ორი საკითხი გადაწყდება. ჯერ ერთი, ეს ხელს შეუწყობს ინსტიტუტის ნორმალურ სამეცნიერო საქმიანობას. პირველ რიგში კვლავ აქ დაიდგება ბინას ინსტიტუტის მდიდარი 20 ათასი წიგნადი ფონდის მქონე ბიბლიოთეკა. წიგნები, ტომრებში შეფუთული, ორი წელია ინახება უნივერსიტეტის წიგნთსაცავში და მოუწვდომელია ფართო მკითხველისათვის. მეორე მხრივ, 9 ოთახი კვლავ დაუბრუნდება უნივერსიტეტს, რომელიც 2012 წელს სტუდენტთა კონტინენტის ზრდასთან და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით შესაბამისი ფართის ნაკლებობას განიცდის. შენობის დაბრუნებამდე კი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა გამონახოს ცალკე სათავსი ბიბლიოთეკისათვის, ტომრებში შეფუთული წიგნადი ფონდის კარადებში განთავსებისათვის.

ინსტიტუტი ასევე მოითხოვს, რომ მას დაუბრუნდეს საექსპედიციო ბაზები ფიჭვნარსა და ბეშუმში, რომლებიც ათეული წლების მანძილზე დიდ სამსახურს უწევდა ინსტიტუტის საექსპედიციო საქმიანობას.

მტკივნეულად დგას საკითხი იმ დაპირების შესრულებისათვის, რომლითაც ინსტიტუტის თანამშრომელთა ხელფასები უნდა გათანაბრებოდა უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებში დასაქმებულთა ხელფასებთან. საჭიროა ამის შესახებ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კვლავ დასვას საკითხი აჭარის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე.

ინსტიტუტის მთავარ საზრუნავად რჩება ეთნოლოგთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ფოლკლორისტთა ახალგაზრდა პერსპექტიული კადრებით შევსება, რაც მაგისტრატურის გზით უნდა განხორციელდეს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა გამოაცხადოს კონკურსი ასეთი კადრებით დაკომპლექტებისათვის. ინსტიტუტი ასევე საჭიროებს ერთ მხატვარ—არქიტექტორს, რომელიც კონკურსის შედეგად იქნება არჩეული.

ინსტიტუტი იმედოვნებს, რომ მას ყველა საჭირო პირობა შეექმნება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრივ სამეცნიერო საქმიანობის ახლებურ დონეზე დაყენებისათვის.

როინ მალაყმაძე,

ინსტიტუტის დირექტორი

ნოდარ კახიძე,

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე



სტუდენტობა – ჯანსაღი ხანა

სალომი, თამარი, ლანა და ანა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არიან. გოგონები მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან და საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობენ. ისინი გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ სტუმრები არიან.

ანა ღიასბაშიძე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტია. ასპროცენტისი გრანტის მფლობელი გოგონა ეროვნულ გამოცდებში მიღებულ ქულებს ამართლებს და A კატეგორიის სტიპენდიანტია. ანა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრია. ამბობს, რომ ჯანსაღი ამბიციები აქვს. მიაჩნია, რომ საზოგადოებაში ორიგინალურობით გამოირჩევა და „ხელოვნებით სუნთქავს“.

ანა და სტუდენტობა

„როგორც ამბობენ, სტუდენტობა ცხოვრებაში ყველაზე დაუფიქრებელი ეტაპია. ეს არის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის შეგრძნებების ერთობლიობა. პირადად ჩემთვის სტუდენტობა სწავლასთან ასოცირდება. არასდროს გამჩენია სურვილი უნივერსიტეტის ეზოში ჯდომით ფსევდოსტუდენტობა მემტკიცებინა. ვცდილობ აქტიური ვიყო და ჩავერთო სხვადასხვა პროექტში. მაგალითად, გასულ წელს თანაორგანიზატორი გახლდით სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით გამართული საღამოსი „გახდი ბრიტანეთის ნაწილი“.

მშვიდობის კორპუსის ეგიდით გაიმართა „საერთაშორისო კონკურსი შემოქმედებით წერაში“, სადაც გამარჯვებული გავხდი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კონკურსანტებს უნდა აგვეჩინა შემოთავაზებული თემებიდან ერთ-ერთი და დაგვეჩინა ინგლისურ ენაზე. თემა სახელწოდებით “ნეტა მქონოდა შესაძლებლობა მეთქვა...“ 2008 წლის ომს მივუძღვენი.

დიდი სურვილი მაქვს ჩვენს უნივერსიტეტში რადიოს აღდგენისა, ჩემს მეგობართან ერთად! კურსზე ვცდილობდი ამ იდეის განხორციელებას, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო ჩანაფიქრზე საბოლოოდ უარის თქმა მოგვიწია. იმედია გამოჩნდებიან ენთუზიასტი სტუდენტები მსგავსი სურვილით და ეცდებიან სხვაგვარი ელფერი შესძინონ სტუდენტურ ცხოვრებას. ერთიანი ძალისმეფით კი ყველაფერს მივაღწევთ“.



„მე“

„გულწრფელად რომ ვთქვა, საკუთარ თავზე საუბარი არც ისე იოლია, თუმცა არც შეუძლებელი. ვფიქრობ, ძლიერი პიროვნება ვარ, ჯანსაღი ამბიციებითა და ბრძოლისუნარიანობით. ყოველთვის გამოვიჩინე საზოგადოებისგან, ეს იყო ჩემი ექსტრავაგანტული ჩაცმულობა თუ მსოფლმხედველობა. ხშირად ვიყავი და ვარ უმცირესობაში, მიყვარს ხოლმე მდინარის დინების სანინაჟმდევგოდ ცურვა, რაც ვფიქრობ განვითარებისთვის აუცილებელია.

ჩემი ძლიერი პიროვნების მეორე მხარე საკმაოდ მრავალფეროვანია, რომელიც ხელოვნებით სუნთქავს. ხელოვნება არის ის, რამაც შემაყვარა ადამიანები, მაჩვენა სამყარო სხვაგვარად, სადაც სულს შეუძლია თავისუფლების შეგრძნება. პირველ რიგში მუსიკა უნდა აღვნიშნო, — როგორც ერთ-ერთი თვითგამოხატვის საშუალება. გიტარა და მისი სიმების ხმა ჩემში შემოქმედს აღვიძებს. კომპოზიტორ-შემსრულებელი ვარ, ვქმნი მუსიკას და ბედნიერი ვარ, როცა შედეგს ვისმენ. ასევე, პიანინო და მასზე კლასიკური ნაწარმოებების შესრულება მაძლევს საშუალებას საუკუნეებით უკან ვიმოგზაურო. განსაკუთრებული ძალა აქვს შოპენის ვალსებს. ვუსმენ ჯანსაღ მუსიკას, განსაკუთრებით როკს და ჯაზს ვანიჭებ უპირატესობას. ვფიქრობ, რომ ხარისხიანი მუსიკა 60-90

წლებში იქმნებოდა. შეუცვლელი იქნება Pink Floyd და არამძვეყნიური ენერგიით დატვირთული ACDC. ალბათ არასდროს მინდებოდა ელა ფიცჯერალდის, ეტა ჯაიმსის ჯაზური რიტმები.

ასევე როცა ცხოვრებაში განსაკუთრებული პერიოდი მაქვს ან ემოციურად დატვირთული ვარ, ლექსებსა და ჩანახატებს ვწერ, რომლებიც არ ვთვლი, რომ განსაკუთრებული ღირებულებისაა, უბრალოდ ისინი ჩემი ფიქრებისა და დამოკიდებულებების ანარეკლია. ჩემი ერთ-ერთი შობია აქსესუარების, დეკორატიული ნივთებისა და ტანისამოსის შექმნა. მოდის სფერო ის სამყაროა, სადაც ადრე შებიჯებას ვფიქრობდი, მაგრამ სამწუხაროდ ჩემს ქვეყანაში არსებული არაპერსპექტიული ვითარებიდან გამომდინარე, მომინია ამ სურვილის დათმობა, თუმცა დღემდე ვიკვებები კოკო შანელის რევილუციური ხასიათის ნაბიჯებით მოდის სფეროში, ჯონ გალიანოს ავანგარდული და ამავდროულად დახვეწილი სტილით. პატივს ვცემ რენესანსის მხატვრობას, თუმცა მიტაცებს საღვადორ დალის ექსტრავაგანდული ფიგურები.

წიგნები ის სამყაროა, სადაც შემძლია ვიყო ნებისმიერი პიროვნება. ვფიქრობ წიგნი დიდი ხნის არსებული დროის მანქანაა. მწერლებიდან გამოვარჩევ ბალზაკს. სხვათაშორის, პირადად ჩემთვის არსებობს გარკვეული კავშირი ბალზაკის, დალის და გალიანოს შემოქმედებას შორის. თითქოს და ერთი შეხედვით შეიძლება აბსურდად მოგეჩვენოს ამ სამი პიროვნების, სხვადასხვა ეპოქიდან, სფეროდან საერთოს პოვნა, თუმცა ვგძნობ მათ ინდივიდუალიზმს, არაორდინალურობას, სირთულეს, მრავალფეროვნებას, იდუმალ, გამოუცნობ თუ გამოსაცნობ შემოქმედებას.

ჩემი ინტერესის ერთ-ერთი ობიექტია ქართული ცეკვა, რომლითაც 9 წელი ვცხოვრობდი, 7 წელი კი სოლისტის პასუხისმგებლობა მეკისრებოდა.

უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს პირფერობას, უპასუხისმგებლობის მიმართ. ასევე ვერ ვუსმენ რებს და არ მიყვარს მწვანე ფერი.

ჩემი საყვარელი რეჟისორი ვუდი ალენია, საყვარელი სიმღერა კი kingdom come-ის What Love Can Be.

უმეტეს შემთხვევაში ვცდლობ მარტო გავატარო დრო. როცა მეგობრებთან ერთად ვარ, მიმოვიხილავთ ამბებს, ვმართავთ დისკუსიას გარკვეულ პრობლემატურ საკითხებზე, ავატალახებთ თუ ავამტვრევთ ქალაქის ქუჩებს და შემდეგ დაღლილი ისევ სახლში ვბრუნდები მარტო სტუმრად საკუთარ თავთან. შეიძლება ითქვას თავისუფალი დრო არ მაქვს. ჩემთვის ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო მოვლენა თუ საქმის კეთება, რასაც ზოგადად გართობას ვეძახით, არ არის დროის კარგვა და უბრალოდ გატარება, იგი ჩემი დაკვირვების და კვლევის ობიექტი ხდება. როცა ვიღლები და ნამდვილად დასვენება მჭირდება, თვალებს ვხუჭავ და ვფიქრობ. აი ეს არის ჩემი დასვენება“.

ხვალ...

„ჩემი მომავალი დაკავშირებულია დასავლეთთან. სწავლის გაგრძელებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ვაპირებ. უდიდესი სურვილი მაქვს უშუალოდ შევიგრძნო, შევიცხო ისეთ დასავლურ ფასეულობებს როგორცაა: დემოკრატია, ტოლერანტობა, ლიბერალიზმი. აშშ წარმატების გარანტიაა. ვფიქრობ, შემწევს ძალა ვიცხოვრო არა მარტო საკუთარი თავისთვის. გაზრდილი პიროვნული და პროფესიული თვალსაზრისით საქართველოში დაბრუნებული ჩავერთვები აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

ჩემი პირთი დღე...

„რა თქმა უნდა, იწყება დილით. იქედან გამომდინარე, რომ ძილი ძალიან მიყვარს, მიჭირს ხოლმე მასთან გამომშვიდობება. შემდეგ უკვე 1 საათი მჭირდება გამოსაფხიზლებლად და უკვე მზად ვარ სისხლის მოძრაობა ავუნყო რუტინულ რიტმს. დღის პირველ მონაკვეთს სასწავლებელში ვატარებ, შემდეგ სახლში დაბრუნებული განსატვირთავად ჟინმოთეული გიტარას მივვარდები, შემდეგ წიგნს ჩავამტერებ და ვცდილობ მოვწყდე რეალობას. მოგვიანებით გამოფხიზლებული ვუბრუნდები ყოველდღიურობას, სწავლას. სწავლისგან დაღლილს ინტერნეტი მიტაცებს თავისი მრავალფეროვანი შემოთავაზებებით და ვინყებ მოგზაურობას. ასე მთავრდება ჩემი ერთი არაჩვეულებრივი დღე...“

ც ა ნ ე ო

კაკ.კაკ.კაკ.კაკ. ხმა, ქუსლი რიტმს აძლევს, კუნთი იბერება, შავი კოლგოტი ხაზავს, ჩამოშვებული მაქმანი მუქად ეხახუნება მუხლს, ნაჭრებზე გამოკიდული ვარსკვლავები უადგილოდ ანათებენ, აყვითლებენ სიბნელეს. რხევა, რხევა ავაზის სიდრთხილის, ვნების ქარში დაკარგული ფოთოლი. კონტრასტის თეძოები მიცურავს დაგუბებულ წყალში. მმმმმმმმ.....

ყასმინის სუნი გაფრთხვა ხეებს შორის. ხეები შეიმშუშნენ, შეირხენ, ფოთლები დაყარეს, ტოტები აშალეს, შრიალებს სივარები.

სიჩუმე. ერთმანეთს შეწებებული, შეყვარებული კარები ჩაჭედოლან ერთურთში, გაუყვიათ ორი სამყარო. ეგოისტები, მხოლოდ მათ სურთ ორივეთი ტკობა. კარები შეტორტმანდნენ, არ თმობენ, ზღურბლს ეჭიდებიან, მაგრამ აი კონტრასტის სუნთქვამ აუნვა სახელურები, აი თათმანით შემოსილი ყურძნის მტევნები მიეშველა ხეს. კარი გაიჭრუნა, ამღვრეული, მთვრალი თვალები შეანათა შავ კაბას, თავი დახარა, შეიძრა და გაიღო.

ბურუსი, ნისლში მოცურავე გედები. ფეხები: ერთი,ორი სამი, ოთხი. შეიჭრა ერთი მეორეში, შეაცურა ამწვარი თითები ხელის ბალიშებში, ოფლმა ოფლი გადაკოცნა. შესრიალდა დარბაზის არეკილი ნახატებით პრიალა ფეხსაცმელი მაღალი ქუსლის პირთან. ტოტმა შეუღიტირა კოჭს, ნითელი ბრონეული გადაიხლიჩა ლიმბით. მძიმე ტორი მიეჯაჭვა კისერს, ბუსუსებს წაუკიდა მოკრძალებული ცეცხლი, დაშანთულ ზურგს ჩაუბერა საყვირის ტუჩი, წელი მოიმწყვდია. მორჩა, მისისა. თითები ჩაეფლო ნაოჭებში, კოკორი აფეთქდა, ნითელი წვიმა გადმოლვარა. ჰაერი შეიკუმშა.

ანა ღიასბაშიძე,
ინგლისური ენისა და ლიტერატურის
სპეციალობის მესამე კურსი

თამარ მამიაძე განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტია. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე გოგონა უკვე მესამე წელია სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი ფინანსდება. მიაჩნია, რომ სტუდენტობა ცხოვრებაში ერთ—ერთი ყველაზე საუკეთესო ხანაა. უყვარს უნივერსიტეტი, საყვარელ ლექტორს ვერ გამოარჩევს რადგან ამბობს, რომ ყველას ამაგი დასაფასებელია.

„როგორც ამბობენ, სტუდენტობა საუკეთესო ხანაა ადამიანის ცხოვრებაში და ბუნებრივია, ვეთანხმები ამ მოსაზრებას. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, შემძლია ვთვა, რომ შევიცვალე, შემეცვალა შეხედულებები ადამიანებზე, ცხოვრებაზე, ჩემს მომავალზე, გავხდი უფრო დამოუკიდებელი. გავიცანი არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებთანაც დღეს მეგობრობა მაკავშირებს.

ვფიქრობ, რომ ჩემი სტუდენტობის პერიოდში სასწავლო სისტემა უფრო დაიხვეწა და სტუდენტზე მორგებული გახდა. უნივერსიტეტში ბევრი საინტერესო პროგრამა ფუნქციონირებს, აღვნიშნავ გაცვლით პროგრამებსაც. უმაღლესი სასწავლებელი მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს ყოველწლიურად სთავაზობს ხოლმე პროგრამებში მონაწილეობის მიღებას. გასულ წელს ჩემმა კურატორმა მომიწოდა მეც მიმეღო მონაწი-



ლეობა, მაგრამ უარი ვთქვი უცხო ენის გაუმართავად ფლობის გამო. წელს კი ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ სამაგისტრო გამოცდები წარმატებით ჩავაბარო და ხარისხის ასამაღლებლად გავემგზავრო საზღვარგარეთ.

გამოვარჩევ თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ სტუდენტთა დაფინანსების პროგრამას, რომელშიც უკვე სამი წელია ვმონაწილეობ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს მეორე სემესტრს სრულად უფინანსებს.

როგორც წესი, თავისუფალი დრო სტუდენტებს ნაკლებად აქვთ და მეც

მათ რიგებს მივეკუთვნები. ჩემი ყოველი დღე ერთმანეთს გავს, დილით მივდივარ უნივერსიტეტში, ვესწრები ლექციებსა და ჯგუფურ მეცადინეობებს. ლექციების შემდეგ თუკი ლიტერატურა არ მაქვს, ბიბლიოთეკაში ვამზადებ სემინარებს. შემდეგ ვბრუნდები სახლში, ვისვენებ და დამატებით მივდივარ უცხო ენის კურსებზე. ამასთან #2 საჯარო სკოლაში გავდივარ პედაგოგიურ პრაქტიკას, გაკვეთილების დაგეგმვა კი დამატებით დროს მოითხოვს. ასეთია ჩემი სტუდენტური ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღე.

მიყვარს კითხვა და ამასთანავე წიგნების შეძენაც. მაქვს პატარა ბიბლიოთეკა და დიდი სურვილი იმისა, რომ გავაფართოვო. ჩემი სამაგიდო წიგნია დიელ კარნეგის „როგორ შევიძინოთ მეგობრები და როგორ მოვიმხროთ ადამიანები“. ქართული ლიტერატურიდან კი განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ გამოვარჩევ.

მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი და ამ უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელი. საყვარელ ლექტორს ვერ გამოვარჩევ, რადგან ჩემთვის ყველა ლექტორი ერთნაირად საყვარელი და დასაფასებელია“.



სალომე მჟამანაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტია. ამბობს, რომ კარგად სწავლობს. სტიპენდია, რომელსაც გოგონა ყოველი თვის ბოლოს იღებს, მისთვის სტიმულის მიმცემია. „შრომა მიფასდება“, — ამბობს სალომე, რომელიც ამავდროულად განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა მთავარი კოორდინატორი და ისტორიის სამეცნიერო წრის ხელმძღვანელია. იგი სამომავლოდ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში გეგმავს. მიიჩნევს, რომ პატარ-პატარა ნაბიჯები მეცნიერებაში უკვე გადადგა და პროფესორ ნუგზარ მგელაძესთან ერთად შავშეთის ეთნოგრაფიის საკითხებზე მუშაობს. წარჩინებული სტუდენტი, რომელიც სწავლას და ბევრ სხვა საქმიანობასაც ასწრებს, რიგ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებებს გვაცნობს:

„საეპილოგოს არჩევა ავტომატურად ხდება ნილად“

„ეფექტობს, რომ როდესაც გქვია სტუდენტი, მარტო ლექციით და სემინარით არ უნდა შემოიფარგლო, საკუთარი თავი სხვა საქმეშიც უნდა გამოავლინო. ბავშვობაში მომწონდა ჟურნალისტობა, ხშირად რაღაც საკითხებს მოვიფიქრებდი და „ვჟურნალის-



ტობდი“ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა პროფესია ავირჩიე, ასე ვთქვათ ამიხდა ბავშვობის ოცნებაც და უკვე ერთი თვეა 25-ე არხის სტაჟიორი ვარ. იქაურობა მომწონს, ჟურნალისტიკა მართლაც საინტერესო სპეციალობაა.

ისტორია საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ ეცნობი შენი ქვეყნის წარსულს, არამედ იმიტაც, რომ სწავლობ სხვა ქვეყნების ისტორიას, ადარებ მათ ერთმანეთს. ასე ვთქვათ, ამ სპეციალობის არჩევა მემკვიდ-

რეობით მხვდა ნილად, დიდი ბაბუის — დავით ხახუტაშვილის გზა გავაგრძელე, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ჯემალ კარალიძესაც“.

ლეკია, ნიგნი, ინგარაშვილი და თავისუფალი დრო

„კარგია როცა არ კმაყოფილები იმით, რაც წიგნებში წერია და ეძებ ახალ მასალას. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ დღეს ახალგაზრდობა იმდენად არის დამოკიდებული კომპიუტერზე, რომ წიგნი ლამის სულ დაივიწყონ. პირადად ჩემთვის კომპიუტერი დამხმარე წყაროა და ძირითადი სახელმძღვანელო, რომელსაც უპირატესობას ვანიჭებ წიგნს.“

ქართველი კლასიკოსებიდან მომწონს ვაჟა-ფშაველა, ბავშვობიდან მის ლექსებს და მოთხრობებს ვეცნობოდი, ასევე გამოვარჩევ ილია ჭავჭავაძესაც, რადგანაც ის არამარტო მწერალი, არამედ დიდი ისტორიკოსიც იყო და მის ნაშრომებში საინტერესო ისტორიული პროცესები აღიბეჭდება. რაც შეეხება უცხოელ კლასიკოსებს, მომწონს ლევ ტოლსტოი — მისი შემოქმედებიდან კი „ანა კარენინა“. ასევე გამოვარჩევ ბულგაკოვს, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი „ოსტატი და მარგარიტა“.

სტუდენტობა ყველაზე ბედნიერი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, ურთიერთობა გაქვს

განსხვავებული მიზნების, ხასიათის და ამოცანების ადამიანებთან. ხარ იმ საზოგადოების წევრი, რომელსაც სტუდენტი და პროფესორი ჰქვია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მარტო ლექციაზე არ უნდა იყო კარგი, ცოტაც უნდა „გაერთო“. ლექციის შემდეგ მივდივარ სტუდენტ კოლეგებთან, ვგეგმავთ რა ლონისძიებები შეიძლება გავაკეთოთ, უფრო ვზრუნავ ჩემი ფაკულტეტის უკეთ წარმოჩენისათვის, არაერთი ღონისძიება მაქვს ჩატარებული“.

ერთი ჩვეულებრივი დღე

„დილა მენწყება ძალიან ადრე, მივდივარ უნივერსიტეტში, ლექციების შემდეგ სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრში, სადაც თითქმის ყოველ დღე ვიკრიბებით და ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს მოსაზრებებს, შემდეგ მივდივარ მეცადინეობებზე და საღამოს თუ დრო მრჩება, მეგობრებთანაც ვახერხებ მისვლას. მიყვარს შაბათი დღე, თითქმის სრულიად თავისუფალი ვარ. შემიძლია მოვიკითხო მეგობრები, რომლებიც არ არიან საქართველოში, ასევე წავიკითხო წიგნები, უფრო რომანებს ვკითხულობ. ამ ბოლო დროს, თავისუფალ დროს გამიტაცა ნოდარ გელაიას („დღე დღევანდელი“) და ათო ტურაშვილის („ჯინსების თაობა“) შემოქმედებამ. ზოგჯერ დეტექტივებსაც ვკითხულობ. მომწონს შოი გვეტაძის „მონანიება“.

ლანა კოდანოვი — განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი



უდავოა, რომ ჩვენი, პროფესორ—მასწავლებლების სიამაყე და წარმატების საზომი ჩვენი წარჩინებული სტუდენტებია. სწორედ, მსურს ერთ—ერთი ასეთი გამორჩეული, ფრიადოსანი, სტიპენდიანტი გოგონას შესახებ მოგითხროთ. ის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი, ლანა კოდანოვია.

ლანას საჯარო გამოსვლა პირველად გასულ, 2012 წელს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ეკოლოგიის სექციაში ვიხილე. მან ასოცირებულ პროფესორ ნათელა ვარშანიძის ხელმძღვანელობით წარმოადგინა თემა „ბაიასებრთა ოჯახის სისტემატიკური სტრუქტურა აჭარის პირობებში“. სტუდენტები თუ პროფესორ—მასწავლებლები მთელი გულისყურით, ინტერესით ვუსმენდით... სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. მას უამრავი მასალა ჰქონდა შეგროვილი, შესწავლილი და წარმოდგენილი. მიუხედავად დროში შეზღუდულობისა, ის საინტერესოდ, ლაკონურად, დამაჯერებელი თხრობის მანერითა და სიღრმისეულად გვაცნობდა თავისი კვლევის შედეგებს, დასმულ შეკითხვებსაც სრულად და ამომწურავად პასუხობდა. მიუხედავად იმ დღეს წარმოდგენილი მრავალი საინტერესო მოხსენებისა, კონფერენციის შესაბამის სექციაში ლანა პირველი ადგილის მფლობელი გახდა.

მაშინ გავიგე, რომ ლანა კოდანოვი ეკოლოგიის სპეციალობაზე სწორედ იმ წელს გადმოვიდა სტომატოლოგიის საქმის სპეციალობიდან...

ყველაფერი კი ასე მოხდა: ლანა კოდანოვი გურიაში დაიბადა და გაიზარდა. იქვე დაამთავრა ნატანების მე—2 საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლისას განსაკუთრებულ ინტერესს ბიოლოგიისა და მშობლიური ენისადმი ავლენდა, თუმცა ყველა საგანს კარგად სწავლობდა და, არა მხოლოდ... მისი მშობლიური ენის მასწავლებლის, ციური ქილიფთარის თქმით, ლანა იყო ჭკვიანი, ზრდილი, მორიდებული, სათნო, პასუხისმგებლობის უნარითა და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული გოგონა. ის წლების განმავლობაში იყო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზატორი და წამყვანი, უამრავი პრიზისა და ჯილდოს მფლობელი.

სკოლის დამთავრებისთანავე ლანამ გადაწყვიტა, ექიმო გამხდარიყო. მან წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ის სამი წლის განმავლობაში ეუფლებოდა სტომატოლოგიის სპეციალობას. საბაზისო თუ სპეციალობის საგნებს წარმატებით, ინტერესით სწავლობდა და მაღალი აკადემიური მოსწრებით გადადიოდა კურსიდან კურსზე, მაგრამ მიხვდა, რომ მედიცინა მაინც არ იყო მისი მოწოდება. „—ექიმად უნდა დაიბადოს ადამიანი“ — აცხადებს ის.

პატარაობიდანვე საქართველოს უნიკალური ბუნება იტაცებდა. ყოველთვის აინტერესებდა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირი, ბევრს კითხულობდა ამ მიმართულებით. ბოლოს, სამწლიანი ფიქრისა და მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ლანა ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტი გახდა.

უკვე მეოთხე კურსზე მეც მასთან ახლო ურთიერთობის საშუალება მომეცა. კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს ლექციისა თუ ჯგუფური მუშაობისას. ყოველთვის წინა რიგში იჯდა, წყნარი, თავმდაბალი, ზრდილი და მორიდებული. ლექციას დიდი ყურადღებითა და ინტერესით ისმენდა, კითხვასაც მორიდებით დასვამდა. ლანას ნიჭი, ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა კარგად ვლინდებოდა ყოველი ჯგუფური მუშაობისას, ყოველ დავალებას უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყოველთვის მომზადებული იყო და დასმულ საკითხს თუ შეკითხვას ზუსტად, სიღრმისეულად და ამომწურავად გადმოსცემდა. მედიცინის მიმართულებით მიღებული ცოდნა განსაკუთრებით კარგად ჩანდა ტოქსიკოლოგიური ეკოლოგიის კურსის გავლისას, სადაც განიხილებოდა სხვადასხვა ტოქსიკური

ნივთიერების ადამიანის ორგანიზმში შეღწევის გზები თუ მასზე ზემოქმედების ეფექტები.

ლანა განსაკუთრებით თბილი, უშუალო, მეგობრული და ყურადღებიანი თავის კურსელებთან. მისი მეგობრის, დარინა ნაკაიძის თქმით, ლანა არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე, ყოველთვის მოწესრიგებული, უკონფლიქტო, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის მატარებელი გოგონა. მიუხედავად მისი სიმორცხვისა, ის უაღრესად თბილი, გულლია და მეგობრულია, ცდილობს, ყველას დაეხმაროს და კარგი ურთიერთობა ჰქონდეს მათთან.

ლანას შრომისმოყვარეობა, ცოდნა, ნიჭიერება, პასუხისმგებლობა, უყურადღებოდ არ დარჩენილა. ფრიადოსანი, წარმატებული, სტიპენდიანტი გოგონა თავისი პროფესორ—მასწავლებლების უსაყვარლესი სტუდენტი და თანატოლების ღირსეული მეგობარია.

მიმდინარე პერიოდში ლანა ინტენსიურად იღრმავებს ცოდნას ინგლისურ ენაში,

რათა გამოიყენოს ის დიდი შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. იმედს ვიტოვებთ, რომ მისი სახით უნივერსიტეტს უკან ღირსეული და წარმატებული კადრი დაუბრუნდება.

ჩვენ ამაყები ვართ, რამეთუ გვყავს სპეციალობაზე ლანა და მისი მსგავსი, კიდევ მრავალი წარმატებული სტუდენტი, ჩვენი ხვალისდელი ღირსეული ცვლა.

ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ—მასწავლებლების, მისი ხელმძღვანელის, პროფესორ დავით ბარათაშვილის სახელით, მსურს დიდი სიყვარულით მოვეფერო ლანას, მივულოცო მიღწეული წარმატებები, ვუსურვო ბედნიერი მომავალი და კვლავაც ახალ—ახალი მიღწევები სწავლასა და პირად ცხოვრებაში.

გუზული დუბაძე

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

13 თებერვალი რადიოს მსოფლიო დღეა



13 თებერვალს რადიოს დღე აღინიშნება, რომელიც 2011 წელს იუნესკომ დააფუძნა. ამ დღის მიზანია რადიოსთვის, როგორც კომუნიკაციის საშუალებისთვის, პატივის მიგება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ასევე მედიასაშუალებებისთვის და ადგილობრივი რადიოსადგურებისთვის ხელის შეწყობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ დღეს განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს. იუნესკოში რომლის იდეაც იყო რადიოს დღის დაფუძნება, აღნიშნავენ, რომ ციფრულ ერაში რადიოს მნიშვნელობა არ დაუკარგავს და ისევ აგრძელებს თავის გავლენას მედიაზე. რადიო ისევ არის მსოფლიოს ყველაზე ფართო აუდიტორიის მომცველი მედია-საშუალება, რომელსაც შეუძლია კატასტროფების დროს გადაარჩინოს ადამიანების სიცოცხლე, ხოლო ჟურნალისტებს აქვთ საშუალება, რომ მსმენელს ფაქტები მიანოღონ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი პან გი მუნი ამბობს, რომ კორეის ომის შემდეგ რადიომ გადამრჩენელის ფუნქცია შეასრულა. რადიოს მეშვეობით შეიტყო მსოფლიომ სწორი ინფორმაცია.

„ჩვენ რადიოს მსმენელები ვიყავით.რადიომ აგვიხილა თვალები დანარჩენ მსოფლიოზე. იგი 100 წლის წინ გამოიგონეს თუმცა მისი შექმნისთანავე სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქცია ჰქონდა -გაეცნო მსმენელს ადამიანებისთვის საჭირო ინფორმაცია. რადიო გართობს, აქვს შემეცნებითი ფუნქცია, ასევე განვდის ინფორმაციას. რადიო იდეებისა და შეხედულებების დემოკრატიულად გამოხატვის საშუალებაა. რადიო არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციებში ერთ-ერთი მთავარი საკომუნიკაციო წყაროც,“ - აცხადებს გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი.

მოკლელტალღოვანი და ციფრული შეტყობინებებით რადიო აკავშირებს ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთისგან შორს იმყოფებიან. კონფლიქტური სიტუაციებისა და კრიზისის პირობებში რადიო არის სასიცოცხლო რგოლი ადამიანების გადარჩენის დროს. რადიოს მნიშვნელობა განუზომელია და ეკონომიკურად ეფექტურიც. გაერო ორგანიზაციის დაარსებისთანავე იყენებს რადიოს როგორც მსოფლიოს მთავარ საკომუნიკაციო საშუალებას.



ზამთრის სეზონით სავსე - მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები

ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი როსტომ ბერიძე: „ფაკულტეტზე უკვე არსებულ ტრადიციებს ვაგრძელებთ და ახალ სასწავლო სემესტრს ახალი მიღწევებითა და წარმატებებით ვინწყობთ. მთავარი მაინც სამომდგომო სემესტრის წარმატებულად შეჯამება იყო - საბოლოო საგამოცდო შედეგების 11% 91-ზე მეტი ქულით აღინიშნა. საგულისხმოა, რომ უმოკლეს ვადაში ჩვენ ასევე წარმატებულად განვახორციელეთ შემდეგი პროექტები:

- საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“.
- „საგანმანათლებლო და ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციების“ II პრაქტიკული კონფერენცია.
- ახალგაზრდული ფორუმი: „ტურიზმის განვითარება აჭარაში და ახალგაზრდობის ჩართულობა“.
- „Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi“ - ის მთავარი მზარეულის მასტერკლასები.
- მასტერკლასები „Radisson Blu Iveria Hotel, BaTumi“ - ში და ტორბიონ ბოდინის ღია ლექციები.
- ღია ლექცია საქართველოს ისტორიაში აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.
- გერმანული დღეები უნივერსიტეტში.
- ტურიზმის ფაკულტეტისა და ტურისტული სააგენტო „უნი-ტურის“ ახალი ღვინის ტურის პრეზენტაცია.
- „შობა-ახალი წელი“ აღნიშვნა სასტუმრო „მერატონ-ბათუმი“.

ყველაფერი კი 2 წლის წინ დაიწყო, როდესაც აჭარის ა.რ. მთავრობისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა. გადამწყვეტილების მიღება რეგიონის განვითარების სტრატეგიულმა გეგმამ და ტურიზმის პოტენციალის გაზრდის აუცილებლობამ განაპირობა. იმთავითვე ცხადი იყო ახლად შექმნილი ფაკულტეტის მიზანი - ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება. ლექციების ნასაკითხად ადგილობრივ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონეული იქნა უცხოელი ლექტორები და ექსპერტები. გარდა ამისა, ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტენსიურად დაიწყო მუშაობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

უკვე კეთილ მოეწეობა და მარტის თვეში სტუდენტებს მოემსახურება სარესტორნო ოპერაციების სწავლებისათვის აუცილებელი სასწავლო „რესტორანი“ (ე.წ. „SHOW ROOM“). რომელიც აღჭურვილი იქნება რესტორნის მართვის თანამედროვე სისტემით „Micros-Fidelio“.

სამომავლო გეგმები კი ტურიზმის ფაკულტეტს მრავლად აქვს:

2013 წლის 4-9 მარტს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი როსტომ ბერიძე, ტურიზმის CIM-ექსპერტი კურტ რეიცი და ტურიზმის დეპარტამენტის სპეციალისტი ირაკლი კორძია მონაწილეობას მიიღებენ ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაში - „ITB-ბერლინი“.



ლინი“ და მინეველი არიან ოფიციალურ მიღებაზე სადაც შესაძლებლობა მიეცემათ ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობები დაამყარონ ტურიზმის მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან.

ამავდროულად უკვე დაგეგმილია ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მერაბ დიასამიძის ერთთვიანი ვიზიტი ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტში, სადაც ის პროექტის „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში მდგრადი ტურიზმისა და ინოვაციების სფეროში განათლება“ გაეცნობა თანამედროვე სწავლების მეთოდებს, ელექტრონული საუნივერსიტეტო მართვის სისტემას და ამავდროულად მოინახულებს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებიც ერთი წლით იმყოფებიან ტელემარკის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

ასევე, მიმდინარე სემესტრში ტურიზმის ფაკულტეტის ორი მასწავლებელი ნანა გიორგაძე და თამარ ნიკურაძე აპრილ-მაისში სტაჟირებას გაივლიან გერმანიის ებერსვალდის მდგრადი განვითარების უნივერსიტეტში.

აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი გიორგი ფარცხალაძე:

„2012-2013 სასწავლო წლის ზამთრის სასესიო პერიოდში აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ჩატარდა 227 გამოცდა. აქედან ბაკალავრიატში-112, მაგისტრატურაში-40, სადოქტორო პროგრამებზე-9, ხოლო პროფესიულზე-50.



გამოცდები ტარდებოდა როგორც ფაკულტეტზე, ისე საგამოცდო ცენტრში. საგამოცდო პერიოდის დასაწყისში შედგენილ იქნა საგამოცდო ცხრილები, თითოეული გამოცდისათვის შერჩეული იქნა დამკვირვებელი.

ინჟინერიისა და აგრარული მიმართულების გამოცდები ჩატარდა ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობაში, ხოლო კომპიუტინგის მიმართულების გამოცდები - უნივერსიტეტის კორპუსში.

ჩატარებული გამოცდების შედეგების ანალიზით ჩანს, რომ შეფასებების განაწილება ძირითადად შეესაბამება ე.წ. თანაბარი განაწილების მრუდს, თუმცა ზოგჯერ გვხვდება „ამოვარდნები“, რაც აიხსნება ცალკეულ შემთხვევებში ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის (დაკვირვებათა რიცხვის) სიმცირით, ან საგნის სპეციფიკით.

ამჟამად ფაკულტეტზე გვყავს ოთხი უწყვეტი ფრიადოსანი, ოთხი უწყვეტი ძალიან კარგოსანი, შვიდი სემესტრული ფრიადოსანი.

სასესიო პერიოდში, სხვადასხვა სასწავლო კურსში, შეფასება (ჩაიჭრა) მიიღო 87-მა სტუდენტმა.

მეორე სემესტრს ჩვენი ფაკულტეტი ხვდება საკმაოდ მომზადებული. აკრედიტაციის (განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის) მოთხოვნათა შესაბამისად ხდება საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, რაც გამოიხატება უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ჰუმან შობეირი გაუძღვება სასწავლო კურსს „სასრული ელემენტები და მართვის ავტომატიზირებული სისტემები“, რომლის ფარგლებშიც იწერება პროგრამული პაკეტი-SAP-2000-ის სწავლება. მისი გამოყენებით შესაძლებელია სამშენებლო და სამანქანათმშენებლო საინჟინრო გამოთვლების შესრულება.

ტელეკომუნიკაციის მიმართულებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ მარიკა სორდიას დახმარებით ხდება თანამედროვე საინჟინრო-მათემატიკური პროგრამების Mathcad-ის და Matlab-ის დანერგვა. რომელთა გამოყენებით შე-

საძლებელია შესრულდეს ყველა სახის საინჟინრო და მათემატიკური გამოთვლები, ამოიხსნას ამოცანები როგორც ანალიზური, ასევე რიცხვითი სახითა და გრაფიკული წარმოდგენით. პროფესორი მარიამ სორდია ავტორია სახელმძღვანელოებისა: „მათემატიკური სისტემა Mathcad“ და „პროგრამული პაკეტი Matlab“. ფაკულტეტთან აქტიურად თანამშრომლობენ კონსულტანტები აშშ-დან რიჩარდ ლეტენდრე და რობერტ ლოუდერი, რომლებმაც უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საინჟინრო-ტექნოლოგიების მიმართულებით სალექციო კურსები წაიკითხეს. ასევე ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის სოციოლოგმა კონორპარტნეტმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: საერთაშორისო განვითარების თეორიები და პრაქტიკა.

2013 წლის 3 იანვარს, ქ. თბილისში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, რომელზეც აკრედიტაცია გაიარა არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამამ.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი ალბერტ მახარაძე:

„ჩვენი ფაკულტეტის სახელით უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და ლექტორ-მასწავლებელს მსურს მივულოცო საგაზაფხულო სემესტრის დაწყება. ვუსურვო წარმატებები და წაყოფიერი შრომა სწავლისა და სწავლების საქმეში. ჩვენმა უნივერსიტეტმა კარგად უწყის, რომ განათლებული თაობა მნიშვნელოვანი იმპულსია ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის საქმეში. იმისათვის, რომ ყოველი სასწავლო სემესტრი იყოს წარმატებული, საჭიროა შევადგათ სოციალური სემესტრი და შევიმუშავოთ სამომავლო სტრატეგია.

გასულ სემესტრში ჩვენი ფაკულტეტის ცხოვრებაში არაერთი სასიამოვნო მოვლენა მოხდა, რომელთაგან რამოდენიმე მათგანი საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს. კერძოდ, ფა-



კულტეს ესტუმრა ავსტრიის გრაციის უნივერსიტეტის დელეგაცია და ამ ვიზიტის ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე დაიგეგმა საზაფხულო სკოლის ჩატარება ინგლისურ ენაზე „ევროპულ სამართალში“. სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ლუკა ზაქარიაძემ საზოგადოებისათვის მეტად პოპულარულ კონკურსში „საქართველოს ვარსკვლავი“ მთიბოვა პირველი ადგილი. ჩვენი ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალისტის მეორე კურსის სტუდენტმა აჩიკო დიასამიძემ მთიბოვა 2012 წლის საქართველოს კარატისტის საუკეთესო ტიტული. საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სპეციალისტის მეორე კურსის სტუ-

დენტმა თორნიკე წულუკიძემ მონაწილეობა მიიღო ქ. სოჭში გამართულ მან-სან-კანის საერთაშორისო ფესტივალში. საქართველოს გუნდი გავიდა მეორე ტურში და მოხვდა უკრაინის უმაღლეს ლიგაში. სამართალმცოდნეობის სპეციალისტის სტუდენტმა მოაწვევს საახალწლო შეხვედრა-კონცერტი - „მღერთან და ხუმრობენ მომავალი იურისტები“. კონცერტი, რომელიც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა, ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. კონცერტმა დიდი მოწონება დაიმსახურა. შემეცნებითი და სპორტული თვალსაზრისით ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. აღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ გასული სემესტრი რამდენად წარმატებული იყო.

ფაკულტეტზე 1500-მდე სტუდენტი ირიცხება, რომლებიც სწავლობენ 7 საბაკალავრო, 5 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამაზე. სიახლეა ისიც, რომ სულ ახლახან ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. ვსარგებლობ შემთხვევით და მივულოცავ ჩემს უნივერსიტეტსა და რეგიონს, განსაკუთრებით იმ სტუდენტებს, რომლებსაც მომავალში ამ სპეციალობაზე სურთ სწავლა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს განათლების სისტემის ახალი მიდგომების შესაბამისად ამ

პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი უფასოდ ისწავლის სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე.

სემესტრის აკადემიური მოსწრების მიხედვით 91 და მეტი ქულის მქონე სტუდენტებს ენიშნებათ 100 ლარიანი სტიპენდია. ამ სემესტრში სულ გვყავს 32 ასეთი სტუდენტი, ხოლო ძალიან კარგოსანი, რომელთაც 50 ლარიანი სტიპენდია ენიშნებათ, გვყავს 5 სტუდენტი. აკადემიური თვალსაზრისით სასიამოვნო სიახლეა ისიც, რომ მიმდინარე სემესტრში სამი სტუდენტი გაცვლითი პროგრამით წავიდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სასწავლებლად.“



დავით IV-ის (1089-1125) გამეფების ჟამს საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი. სამეფო ხელისუფლება ფაქტობრივად მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. კახეთ-ჰერეთი კვლავ დამოუკიდებლობას ინებებდა, თბილისი მაჰმადიან ამირას ეყრდა, ქართლი და სამხრეთი საქართველო კი თურქ-სელჩუკების მიერ მრავალგზის აოხრებული და გაპარტახებული იყო. მოსახლეობა იძულებით ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს და მთაში იხიზნებოდა ან ციხესიმაგრეებს აფარებდა თავს.

დავით აღმაშენებელმა შესანიშნავად იცოდა, რომ თურქ-სელჩუკთა განდევნა და ქვეყნის გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისა და ურჩი ფეოდალების დასჯის გარეშე. მათ შორის კვლავ გამოირჩეოდა ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი ლიპარიტ V. დავითმა დაატყვევა კლდეკარის ერისთავი. ლიპარიტმა მოინანია დანაშაული და მეფემაც გაათავისუფ-

იყო. მან მოახერხა დროებით იმპერიის დაცემა, მოიგერია მომთაბარე პაჭანიკების შემოსევები. მათი დამარცხების შემდეგ ალექსი კომნენოსი სელჩუკთა წინააღმდეგ ჯვაროსანთა გამოყენებას ფიქრობდა. უზარმაზარი სამხედრო ძალის თავმოყრა კონსტანტინოპოლში საზიფათო იყო და ბიზანტიელებმა რაინდები სასწრაფოდ გადაიყვანეს აღმოსავლეთში. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. ჯვაროსნებმა 1098 წელს აიღეს ანტიოქია, 1099 წელს კი სასტიკი ბრძოლის შემდეგ გაათავისუფლეს იერუსალიმი. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჯვაროსნებმა თავიანთი სახელმწიფოები დააარსეს.

დავით IV-მ ისარგებლა იმით, რომ თურქ-სელჩუკებს მთელი ყურადღება ჯვაროსნებისკენ ჰქონდათ მიჰყრობილი და 1099 წელს მათ ხარკი შეუნყვიტა.

თურქ-სელჩუკების შემოსევების და სამეფო ხელისუფლების დასუსტების შემდეგ თითქმის მთლიანად მოშლილი იყო სა-

ვილდე. შეშინებულმა თურქებმა სასწრაფოდ დატოვეს მახლობელი ციხეებიც. 1115 წელს გათავისუფლდა რუსთავი. 1117 წელს დავითმა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე ციხესიმაგრე გიში დაიკავა. 1118 წელს მეფემ თურქებს წაართვა ლორე. ყველასთვის ცხადი იყო, რომ მალე დადგებოდა თბილისის ჯერი. საქართველოს გაძლიერებამ სერიოზულად შეაშფოთა სელჩუკები. მათ გადანყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ გაეტეხათ წელში საქართველო. მით უმეტეს, რომ მათ რამდენჯერმე მოახერხეს ჯვაროსანთა დამარცხება. სელჩუკთა სარდალმა ილ-ლაზმა დაამარცხა ანტიოქიის მთავარი როჟერი. თავად როჟერი და მრავალი ჯვაროსანი რაინდიც ბრძოლის ველზე დაიღუპა. სულთან მაჰმუდ მოჰამედის ძის ბრძანებით შეიკრიბა უზარმაზარი, 300-ათასიანი (უტოლდება დღევანდელ 1,2 მილიონს) არმია, რომელიც ილ-ლაზის მეთაურობით დაიძრა საქართველოსკენ. ამ უზარმაზარ სამხედრო ძალას დავით აღმაშენებელმა

8 თებერვალი დაავით აღმაშენებლის



წესების დღეა

ხელმწიფო მმართველობის სისტემა. საჭირო იყო რეფორმების გატარება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო საეკლესიო რეფორმა. სასულიერო პირთაგან ზოგი უღირსი იყო, ნაწილი მეფის მონიანაღმდეგეებს უჭერდა მხარს. დავით IV-მ გადაწყვიტა წესრიგი დემყარებინა ეკლესიაში და 1004 წელს მოინვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, სადაც უღირსი სასულიერო პირები გააძევეს ეკლესიიდან და მიიღეს სხვადასხვა გადაწყვეტილებები საეკლესიო ცხოვრების შესახებ.

დავით IV-მ შექმნა მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის თანამდებობა. მწიგნობართუხუცესი იყო მეფის კანცლარიის უფროსი, ჭყონდიდელი კი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსი. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს შეეძლო ჩარეულიყო როგორც საერო, ისე სასულიერო საქმეებში. პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო დავითის აღმზრდელი გიორგი მწიგნობართუხუცესი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსტოვართა ინსტიტუტის დაარსებას, რაც საშუალებას აძლევდა მეფეს სკოდნოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა ქვეყნის შიგნით და გარეთ.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი იყო ძლიერი ჯარის გარეშე. დავითმა თავიდანვე დაიწყო სამხედრო რეფორმის განხორციელება. მან შექმნა მეფის პირადი გვარდია - მონასპა, დავითის დროს ქართული ლაშქარი სამ ნაწილად იყოფოდა: მონასპა, ქალაქებსა და სოფლებში მდგარი გარნიზონები და ლაშქრის ძირითადი ნაწილი. ცხადია, მთელი სიმძიმე ლაშქრის ძირითად ნაწილზე გადადიოდა. სამხედრო რეფორმა დამთავრდა 1118 წელს, როდესაც დავითმა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოასახლა ყივჩაღები. სავარაუდოა, რომ დავითმა პოლიტიკური მოსაზრებით შეირთო ცოლად ყივჩაღთა ერთ-ერთი მთავრის ათრაქა შარალანის ძის ასული გურანდუხტი. ყივჩაღთა 40 000 ოჯახის გადმოსახლებით, რომლებიც მეფეს თითო ოჯახიდან თითო მეომარს აძლევდა, რამდენიმე საკითხსჭრიდა ერთდროულად: იზრდებოდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი. გარდა ამისა, სამხედრო ვალდებულებისგან თავისუფლდებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილი და ისინი აღარ მონყდებოდნენ სამეურნეო საქმიანობას. სამხედრო თვალსაზრისით საქართველო დაცული იქნებოდა შემოსევებისაგან.

1104 წელს მეფის მომხრე კახელები დადებულზემა შეიპყრეს კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართანი და დავითის მიჰგვარეს. ამის შემდეგ დავითი გადავიდა კახეთ-ჰერეთში და ეს მხარე შემოიერთა. განძის ათაბაგმა იგრძნო ის საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა საქართველოს გაერთიანებით და დიდი ლაშქარი გამოგზავნა. 1104 წელს ერწუხის ბრძოლაში დავითმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1110 წელს ქართველებმა აიღეს სამშ-

დაუპირისპირა 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი (ოსი) და 100 ფრანგი ჯვაროსანი. ბრძოლა გაიმართა დიდგორის ველზე. მეფემ ბრძოლის წინ შემდეგნაირად მიმართა ჯარს: «ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის საჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისთვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გაქიცვით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხმირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტებით»

1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით ქართველებმა დიდგორის ველზე უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს. დავით აღმაშენებელმა მტერი აიძულა ბრძოლა გაემართა ვიწრო ხეობაში, სადაც ის ვერ გამოიყენებდა თავის რიცხობრივ უპირატესობას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე იმ ორასი მეომრის თავგანწირვას, რომლებმაც პანიკა შეიტანეს მტრის ლაშქარში. სწორედ ამ დროს ქართველებმა, დავითისა და დემეტრეს წინამძღოლობით, შეუტყეს სელჩუკებს. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა თავგანწირულ იერიშს და უკუიქცა. ქართველები სამი დღის მანძილზე მისდევდნენ გაქცეულ მტერს და დიდძალი ალაფი იგდეს ხელთ.


1122 წელს დავითმა თბილისი გაათავისუფლა და დედაქალაქი ქუთაისიდან აქ გადმოიტანა. წესრიგი და სიმშვიდე აღადგინა ქალაქში. 1123 წელს დავითმა გაათავისუფლა დმანისი. 1123 წელს შარვანში შეიჭრა სულთანი მაჰმუდი და დავითის ომი გამოუცხადა. დავითმა 50 ათასიანი მხედრობით მაჰმუდი გაანადგურა.

1124 წელს აღმაშენებელმა დაიკავა შარვანი. იმავე წელს მეფეს მიმართეს ანისელებმა და ქალაქის გათავისუფლება სთხოვეს. ანისი 60 წელი მუსლიმთა ხელში იყო. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა ანისი და ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიები საქართველოს შემოუერთა. „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვან-შა და შაჰან-შა“

ერთიანი საქართველოს უდიდესი მეფე დავით IV აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. მან თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ქვეყანა - „ნიკოფსიდან დარუბანდისა საზღვრამდე და ოსეთიდან არეგენამდე“. მეფე დაკრძალეს გელათის მონასტერში. საქართველოს ეკლესიამ დავით IV აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა.

ოთარ გომოლიშვილი, პროფესორი

ამონარიდი შუშანა ფუტკარაძის ნიბნიდან „ჩვენებურების ქართული“



„ — თებერვალი ბერავსო, მარტი კაბას კერავსო, აპრილი ჩეიცუამს, მაისი გაცევოს, — იტყოდნენ ნენიები... მაისის ექვსზე ხიდრიზელია, ხიდრიზელი დღეა. ამ დღეს ითამაშებენ, არ ისაქმებენ; არ დეიძინებენ, სიმძიმე მოგვამატებო, იტყვიან... დედაბრები იტყვიან იანი, ჭამონა კაიები, იარონა, იქეიფონა, რომ ასე დაგვედოსო. იმ დღეს გარეთ ხივებზე ჩამუაბენ სალინჯალებსა, საკორნიალას. კორნიალობენ, სამობენ. ცოდვენი გა-

ჩენდებო იტყვიან. მღერობენ, თამაშობენ ქალი, კაცი, ენჩული გენჯები. ღამეში ცეცხლ დაანთებენ; იმაზე უხტიან, შეითნენ დავენათო, ცოდვენი დავენათო...

ბუხურიც იციან. ბუხური კალვობაზე იციან, მარიობაში — აუგუსტოში — ერთი დღეა. იმ დღეში ერთი საათია. იმ საათში თუ ყანაში ეკალი მოზურდუ, ეკალი აღარ ამუა; თუ დარგევი, იპაც აღარ ამუა. თუ წყალი მუშუში ყანაში, გახმება ყანა. ბუხური აუგუსტოს თუთხმეტზეა ღალიბა.

— კვირიკობაც არი, იმაჰაც დაციდან დიდვანები. გენჯეები ახლა ააფერ აღარ უყურებენ. ჩურუგას პირველი კვირიკობა არი, ჩურუგას დადგომიხან პირველი კვირიკობა არი. იმ დღესა, ყანაში, ბოსტანში რომ შეხვიდე, მატლი მოჭრის ყველმფერსა. თუ ილლა შესლა უნდარან, კინისევი რაცხანა გააგდო წინდანინ ყანაში და რომ შეხვალ, მაიღამაი ზარალი არ ექნება“.

— პანაი საბრინა ქნა, უმუცლო არნა იყო ინსანი... ესა ნენი ოზოში, არსაში ბალახ ზღლის, გუდუშუპლეკია იქავრობა. ემე, ბალახი დიდუანი დაბდღნილი არია?... თუ რაცხა მოგია, ილლა ბალახ დეეკიდები... მე შარშან თუთხმეტი ძირი ვაშლი მოვთხარე. თუ არ მეიხმარიფე, რათ ვინდა? არ ისხმედა ჰეჩ. ყავალი დარგეთ“.

(საუბრობდნენ ხენიფე ბაშთურქი (ვახტანგიძე) და ფატყუმე ოზილი გოგიტიძე).

სამუშაო ძღვის განვითარებისთვის განსახლებული საკონკურსო წინადადება

საქართველოს მთავრობა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC) პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობისათვის, მეორე კომპაქტის ფარგლებში განიხილავენ 12-15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის გამოყოფას, რომელიც გაიცემა ღია და გამჭვირვალე საგრანტო კონკურსის გზით. კონკურსის ფარგლებში, პირველ ეტაპზე წარიმართება პროფესიული განათლების სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზი, პრობლემების შესწავლა და საჭიროების გამოვლინება. მეორე ეტაპზე მოხდება პროექტების დეტალური წარდგენა, შეფასება და დაფინანსება. საკონკურსო წინადადების პირველი ეტაპის განხორციელებისთვის, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო MCA-Georgia პროფესიული განათლების სფეროში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრის მიზნით იწყებს განცხადების მიღებას.

განაცხადები უნდა მოიცავდეს საინჟინრო, ტექნოლოგიურ, (მშენებლობა, ტრანსპორტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, და ა.შ.), სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სახელმწიფო და კერძო პროფესიულ სასწავლებლებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროფესიულ გაერთიანებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა იურიდიული პირებს, რომლებიც ახორციელებენ ან აპირებენ საქმიანობის დაწყებას პროფესიული სწავლებისა და განათლების უზრუნველყოფის სფეროში.

პროფესიული განათლების განხორციელებელ ორგანიზაციებს საკონკურსო განაცხადები შეუძლიათ წარმოადგინონ:

1) წინადადებები შრომით ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, ან არსებული პროგრამების განახლების, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ან ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით.

2) განაცხადები ადამიანური რესურსის გაძლიერების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და დამსაქმებელთან არსებული კავშირის გაღრმავების მიზნით.

კონკურსის მეორე ეტაპზე, პროექტები დასაფინანსებლად ადგილობრივი და უცხოელ დამოუკიდებელი ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შეირჩევა.

საკონკურსო განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 15 თებერვალი.

საკონკურსო პროექტები ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: call@mcageorgia.ge



უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ალერგიული დაავადებების მატება, ამასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი თეორია, ერთ-ერთი არის იმუნური სისტემის ჰიპერრეაქტიულობის განვითარების ჰიგიენური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, ალერგიული დაავადებები უმთავრესად მათი ხვედრია, ვინც ზედმეტად ჰიგიენურ პირობებში იზრდებოდა, ნაკლებად ჰქონდა კონტაქტი თანატოლებთან, ბუნებასთან, ინფექციებთან, ხშირად იღებდა ანტიბიოტიკებს, არ მოუხდია სახადი და ავადებები და ა.შ. გავრცედა, რომ ასეთ ვითარებაში გაზრდილი ბავშვების იმუნური სისტემა მუდმივად განიცდის ანტიალერგიული მექანიზმების დეფიციტს, რის შედეგადაც იგი ზედმეტად აქტიურდება, ეს კი, თავის მხრივ, ალერგიული დაავადების განვითარებას განაპირობებს. ამასთან ერთად, რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვანია ალერგიული დაავადებების მიმართ გენეტიკური განწყობა და შესაძლოა, სხვა, ჯერ კიდევ უცნობი ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უწყობს ალერგოზების ჩამოყალიბებასა და გავრცელებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ე.წ. შიგა და გარე გარემოს ორგანიზმზე მავნე ზემოქმედება. კვლევებმა ჩვენა, რომ დღეს ქვეყნებში განვითარებული შიგაგარემო (საცხოვრებელი სახლები და ოფისები) გაცილებით აგრესიულია, ვიდრე გარე. ამ უკანასკნელის გაკეთილშობილება შესაძლებელი გახდა შიგანის ძრავებზე კატალიზატორების დამონტაჟებით, რის შედეგადაც ფოტოქიმიურ სმოგში 80%-ით შემცირდა ტყვიის შემცველობა და ერთიორად — გოგირდის, ნახშირბადისა და აზოტის რადიკალებისა. ამავე დროს, შენობების ჰერმეტიზაციამ შიგა გარემო საგრძნობლად გააუარესა — ორგანული და არაორგანული მტვრითა და ნაწილაკებით მისი გაჯერება გამოიწვია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადამიანს უმთავრესად შიგა გარემოში უხდება ყოფნა, ადვილი მისახვედრია, რამდენად ძლიერი ალერგენული ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებით და რატომ გვანუხებს ეს დაავადება სულ უფრო ხშირად.

როგორ ვლინდება ალერგია

ალერგია სხვადასხვაგვარად ვლინდება. ეს შეიძლება იყოს კვებითი ალერგია, კანის ალერგია, სასუნთქი სისტემის ალერგოზი, ალერგია მწერის ნაკბენის მიმართ, წაღლის მიერი ალერგია... არის შემთხვევები, როდესაც ალერგიული გამოვლინებები სხვა, პირველად დაავადებებს უკავშირდება. მაგალითად, მწვავი და ქრონიკული ჭინჭრის ციება შესაძლოა ასოცირებული იყოს ვირუსულ ინფექციებთან, ჩიყვთან, დიაბეტთან, კუჭის ნეკროზთან, ავთვისებიან დაავადებებთან. არსებობს ფიზიკურ ფაქტორებთან დაკავშირებული ალერგიაც. მაგალითად, ალერგია სითბოზე, სიცხეზე, ფიზიკურ დატვირთვაზე, წყალზე, მექანიკურ გაღიზიანებაზე მზის სხივებზე. სხვადასხვა ალერგიული დაავადება განსხვავებულ ასაკში ნაირგვარი სიხშირით გვხვდება. ასე, მაგალითად: კვებითი ალერგია განსაკუთრებით წლამდე ასაკის ბავშვებს უვითარდებათ, 10 თვიდან 4 წლამდე ასაკის ბავშვებში უმთავრესად დერმატოზული გამოვლინებები გვხვდება, 5 წლიდან მოყოლებული პუბერტულ ასაკამდე უპირატესად ზემო და ქვემო სასუნთქი სისტემის ალერგიული დაავადებები აღინიშნება.

სიმპტომები: კუჭ-ნაწლავის სისტემის ალერგიას უმთავრესად გასტროენტერული მოვლენები ახასიათებს. ბავშვთა ასაკში ის შე-

ალერგიული დაავადებები დღეს

იძლება გამოიხატოს სტომატიტით, კოლიკით — მუცლის მუდმივი მორეცხივით ტკივილით, ფალარათით, ყაბზობით, სისხლიანი განავლით (ამ უკანასკნელის გამო ბავშვები ზოგჯერ ინფექციურ დაწესებულებებშიც კი მიჰყავთ).

კანის გამოვლინებებიდან ძირითადია ურტიკარიული ანუ ჭინჭრის ციების გამონაყარი, რომელიც ზოგჯერ რთულდება და ატოპიურ დერმატიტში გადაიზრდება. ამ უკანასკნელის მძიმე ფორმაა ნეიროდერმიტი, რომელიც უმეტესად უფროსი ასაკის ბავშვებს უვითარდებათ, საკმაოდ რთულად მიმდინარეობს და ნაკლებად ექვემდებარება მკურნალობას. სასუნთქი გზების ალერგოზებიდან ხშირია პოლინოზები — მცენარის მტვრით განპირობებული ალერგიული მდგომარეობები, რომლებიც ცემინებით, რინოკონიუნქტივიტით, ზედა სასუნთქი გზების მუდმივი სიმპტომატიკით ვლინდება. რესპირაციულ ალერგოზებს შორის ერთ-ერთი წამყვანი დაავადებაა ბრონქული ასთმა. ის სხვადასხვა სიმძიმითა და ფორმით მიმდინარეობს. მისი ძირითადი გამოვლინებებია ხელხუთვა, ქოშინი, ხველა. დაავადება მუდმივად მორეცხივით. მწვავედ ინფექციის შემდეგ და გარემო ფაქტორების ცვალებადობის ფონზე. ბრონქული ასთმა ზოგჯერ პროფესიულია — სანარმო მტვერთან ან სხვა მავნე პროფესიულ ფაქტორებთან კონტაქტით არის გამოწვეული. სისტემური რეაქციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ანაფილაქსიური შოკი და ანაფილაქტიკური რეაქციები. ადგილობრივი რეაქციებიდან აღსანიშნავია კონტაქტური დერმატიტი, რომელიც შეიძლება განვითარდეს ნებისმიერი ადგილობრივად გამოსაყენებელი პრეპარატის, პარფიუმერიული საშუალებების, ტანსაცმლის მიმართ. მეტად მნიშვნელოვანია ალერგია მედიკამენტების მიმართ, რომელიც ბოლო ხანს საგრძნობლად გახშირდა. განსაკუთრებით აქტუალურია ალერგია ანტიბიოტიკებსა და ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებზე, რომლებიც ხშირად იწვევს როგორც ადგილობრივ, ისე სისტემურ რეაქციებს.

როგორ ამოვიცნოთ დაავადება

როდესაც ალერგიის დიაგნოსტიკაზე ვსაუბრობთ, მთავარია, მაქსიმალური სიზუსტით დადგინდეს ალერგიის გამოწვევი, რაც, სამწუხაროდ, არ არის ადვილი. დიაგნოსტიკური ტესტები, რომელთაც მთელ მსოფლიოში იყენებენ, მათ შორის — იმუნოლოგიური ტესტები და კანის სინჯები, არ გვაძლევს დამნაშავე ალერგენების 100%-იანი სიზუსტით გამოვლენის საშუალებას, განსაკუთრებით — კვებითი და მედიკამენტური ალერგიის შემთხვევაში. ასე, მაგალითად: კვებითი ალერგიის დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტად ითვლება პროვოკაციული სინჯი საკვებით. ამ სინჯებს შორის საუკეთესოა ორმაგი ბრმა მეთოდი, როდესაც პაციენტი იღებს სპეციალურ კაფსულებში მოთავსებულ საკვებს, მაგრამ ფსიქოლოგიური ეფექტის გამორიცხვის მიზნით არც მან და არც ექიმმა არ იციან, რა პროდუქტია ეს. მხოლოდ ამგვარად შეიძლება დამნაშავე საკვების მაღალი სიზუსტით გამოვლენა, თუმცა ასეთი ტესტის ჩატარება ძალიან ძნელია. ძნელია მედიკამენტური ალერგიის გამოვლენაც, ვინაიდან მედიკამენტებით ჩატარებული ტესტები, გარდა პენიცილინისა, ნაკლებ სარწმუნოა:



ზოგჯერ — ცრუ დადებით ან ცრუ უარყოფით შედეგებს იძლევა. არანაკლებ რთულია ქრონიკული ჭინჭრის ციების მიზეზის დადგენა. ქრონიკული ურტიკარია შეიძლება იყოს მწვავეც, როდესაც გამოჩნდება ნახევრამდე გრძელდება, და ქრონიკულიც, როდესაც დაავადება უფრო მეტხანს მიმდინარეობს. ის სხვადასხვა დაავადებასთან არის ასოცირებული, რის გამოც საჭიროა მრავალმხრივი გამოკვლევა: სისხლის ანალიზი, შარდის ანალიზი, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების გამოკვლევა, ანალიზი ჰელმინთოზზე, დიაბეტზე, ჰელიკობაქტერიაზე, ანტინუკლეარულანტის სხეულებზე, სისტემურ დაავადებებზე, კომპლემენტური ფრაქციების შეფასებაზე. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ყველაზე მარტივია ბრონქული ასთმისა და პოლინოზის დიაგნოსტიკა. კანის სინჯები და იმუნოლოგიური ტესტები ორივე შემთხვევაში საკმაოდ ეფექტურია. კვლევები გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა, როდესაც ბრონქული ასთმა განპირობებულია ოთახის მტვრით, ტკიპით, სოკოვანი ალერგენებით და აერო ალერგენებით. იგივე შეგვიძლია ვთქვათ მცენარეულ ალერგენებზე — მცენარის მტვრით განპირობებული ალერგიის დიაგნოსტიკა საკმაოდ ეფექტურია, რადგან ზუსტად ვიცით, რომელი მცენარე როდის ყვავის და შეგვიძლია, მეტნაკლები სიზუსტით გამოვთვალოთ სავარაუდო დამნაშავე ალერგიის გამოწვევი მცენარეები: ხემცენარეები, ბალახები, მარცვლოვნები, სარეველები და სოკოები — სხვადასხვა ფერის ყვავიან და აფრქვევენ გარემოში თავიანთ მტვერსა თუ სპორებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში, ერთი ქალაქის სხვადასხვა ნაწილშიც კი, მდგომარეობა სხვადასხვაგვარია, ვინაიდან მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მცენარეულ სპექტრს, არამედ ალერგენის კონცენტრაციასაც, მასზე კი ძლიერ გავლენას ახდენს ატმოსფერული წნევა, ტენიანობა და ქარი. მდგომარეობა განსაკუთრებით რთულდება მაღალი წნევის დროს — მცენარის მტვერი დაბლა ჩამოდის და ატმოსფეროს იმ ფენებში იღუქება, სადაც ადამიანს უხდება ცხოვრება. ზოგიერთ ქვეყანაში ამინდთან ერთად მცენარის მტვრის მოძრაობის პროგნოზსაც აკეთებენ. არსებობს ერთმანეთის მსგავსი ანტიგენური ბუნების მქონე მრავალი ალერგენი, რომლებმაც, მოსალოდნელია, ჯვარედინი რეაქცია გამოიწვიოს. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია პენიცილინის ჯგუფისა და ცეფალოსპორინების ჯგუფის პრეპარატთა ჯვარედინი რეაქცია, რომლის შესახებაც უნდა იცოდნენ ექიმმაც და პაციენტმაც. რაც შეეხება მცენარეულ ალერგენებს, არყის ხის მტვერს ჯვარედინი რეაქცია ახასიათებს სხვადასხვა ხილთან, მათ შორის — ვაშლთან. გამოვლენილია ლატექსის ჯვარედინი რეაქციები ეგზოტიკურ ხილთან — ბანანთან, კივისთან, ავოკადოსთან, ასევე — ნაბლთან და ზოგიერთი მონაცემით, ატამსა და ვაშლთანაც კი. ლატექსისგან მრავალი სამედიცინო აქსესუარი მზადდება, ამიტომ ლატექსური ალერგია მედიცინის სერიოზული პრობლემაა. ხილური ჯვარედინი რეაქციების დაფიქსირება ძალიან რთულია, როდესაც იგივე გაცილებით მარტივია მედიკამენტურ ალერგენებთან მიმართებაში.

როგორ ვუმკურნალოთ

პოლინოზების დიაგნოსტიკა ადვილია, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს მათი მკურნალობა. პოლინოზების მკურნალობის ერთ-ერთი წამყვან მეთოდად მიიჩნევა ალერგენები ანუ იმუნოთერაპია, რომელიც ძვირადღირებულია და ამიტომ ცოტასთვის თუა ხელმისაწვდომი, მკურნალობის კურსი ხანგრძლივია (მინიმუმ ერთი, მაქსიმუმ ხუთი წელი გრძელდება) და არც შედეგია გარანტირებული. ბრონქულ ასთმას ფარმაკოთერაპიითა და იმუნოთერაპიით მკურნალობენ. იმუნოთერაპიას მაშინ მიმართავენ, როდესაც დადგენილია, რომ გამომწვევია საყოფაცხოვრებო ალერგენი, მაგალითად, ოთახის მტვერი ან ტკიპა. ოთახის მტვერითა და ტკიპით, ასევე — მცენარეული ალერგენით და ზოგჯერ სოკოთი ჩატარებული იმუნოთერაპია კარგ შედეგს გვაძლევს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბრონქული ასთმის დროს იმუნოთერაპია სარეზერვო მეთოდია. მკურნალობას, ნე-სისამებრ, იწყებენ ფარმაკოლოგიური საშუალებებით, რომლებიც ამჟამად მრავლად არის ფარმაცევტულ ბაზარზე. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიოში არსებული ბრონქული ასთმის სამკურნალო პრეპარატებიდან საქართველოში ყველა იყენდება, ახალი პრეპარატის ომალი უშუალოდ ნებულაიზერით შესასხურებელი საინჰალაციო სტერილიზების გარდა. ალერგიის მკურნალობის ყველაზე მარტივი და ეფექტური საშუალებაა ელიმინაციური მეთოდი, რომლის გამოყენება, სამწუხაროდ, ყოველთვის შეუძლებელია. უფრო ხშირად იყენებენ სიმპტომურ (დაავადების სიმპტომებზე მოქმედ), რეაქტიულობის დამთრგუნველ და პროფილაქტიკურ პრეპარატებსა და მეთოდებს. მკურნალობა ნებისმიერ შემთხვევაში ტარდება ექიმის მიერ ან მისი მეთვალყურეობით. თვითმოქმედება ამ თვალსაზრისით დაუშვებელია, ვინაიდან ალერგოზი, როგორც წესი, პროგრესირებს და მძიმდება.

ცხოვრების წესი და ალერგია

დასავლეთის ქვეყნებში ალერგიულ პაციენტებს ბევრს არაფერს უკრძალებენ. ისინი ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევიან. მეტიც — შესაძლოა, სპორტულ წარმატებებსაც კი მიაღწიონ. მაგალითად, 1984 წელს ზუთასზე მეტი ამერიკელი ოლიმპიელიდან ოცდათერთმეტი (უმეტესად — მოცურავეები) ასთმით იყო დაავადებული და მათმა 68%-მა ოქროსა და ვერცხლის მედლების მოპოვება შეძლო. ალერგიულ ადამიანს მაქსიმალურად უნდა შეეძლოს საკუთარი დაავადების მართვა — სადამდე შეუძლია, საკუთარ თავს თვითონვე მიხედოს და როდის მიმართოს ექიმს, როგორ გარემოში იცხოვროს, როგორი პირობები შეეძმას შინ თუ სამსახურში, როგორ მოერიდოს ალერგენს. ალერგიული ადამიანი გაცილებით მეტად უნდა იყოს გაკაფებული, ვიდრე ალერგიის არმქონე პირი. მან უნდა იცოდეს, რა სახის ფიზიკური აქტივობაა მისთვის მისაღები. წესისამებრ, ასეთია სპორტის არადადრბაზული სახეობები, თუმცა ის, ვინც პოლინოზს უჩივის, პირიქით, დროის უმეტეს ნაწილს სახლში უნდა ატარებდეს, რათა მცენარის მტვერს თავი აარიდოს.

მასტანა ზერიძე,

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი


გრაფის უნივერსიტეტის დელაგაციის საპასუხო ვიზიტი



საპასუხო ვიზიტით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გრაფის უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია. რუსეთის აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის მცოდნეობის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ტომას კრუსმანი გრაფის უნივერსიტეტის ევროპული სამართალმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ

ჰუბერტ ისაკთან და მაგისტრ ბენედიქტ ჰარცლთან ერთად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძესა და სოციალურ მეცნიერებათა, ზიზნისისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანს ადამ მახარაძეს შეხვდნენ. ქართველი და ავსტრიელი კოლეგები შეხვედრაზე პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ამოქმედებასა და ბსუ-ს

ბაზაზე საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ევროპული სამართლის“ ჩატარების პირობებზე შეთანხმდნენ. ყურადღება გაამახვილეს ასევე სამართლებრივი კვლევების მნიშვნელობაზე, ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების აუცილებლობაზე.



14 თებერვალს შიშველები წმინდა ვალენტინის ხსენების დღეს აღნიშნავენ

„აჩუქეთ შეყვარებულს დღესასწაული, მოუყევით მას თქვენ გრძნობებზე, თანაც ყოველდღე და არა მხოლოდ 14 თებერვალს“, — ასე გვარიგებდა წმინდა ვალენტინი.

ისმის კითხვა — რატომ აღინიშნება 14 თებერვალს ვალენტინობის დღე? 14 თებერვალი მღვდელი ვალენტინის მოსახსენებელი დღეა, რომელიც შეყვარებულებს ჩუმად აუღლებდა. ვინ

იყო ვალენტინი? — რომელი მღვდელი, რომელიც კლავდიუს II-ის მეფობის დროს, 269 წელს ეწამა.

ტრადიციის მიხედვით კლავდიუს II-მ (გოთიკუსმა), რომელიც ომებს აწარმოებდა, ჩათვალა რა, რომ დაოჯახებული მეომრები ცუდად იბრძოდნენ, რომის იმპერიაში აკრძალა ახალგაზრდების დაქორწინება. მღვდელი ვალენტინი კი შეყვარებულ წყვილებს ჯვარს სწერდა. იგი ქრისტიანი მოწამეების დახმარებისა და ჯვრისწერების აღსრულებისათვის შეუპყრიათ და სასტიკად უცემიათ. ლეგენდის მიხედვით, ციხეში ყოფნისას იგი დამტყვევებლის ბრმა ქალიშვილს დაახლოვებია და კიდევაც შეყვარებია. სიკვდილის წინ

მისთვის სასიყვარულო ბარათი მიუწერია, რომელიც ასე მთავრდებოდა: „შენი ვალენტინისაგან“. ალბათ, აქედან მომდინარეობს ევროპული ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვით, ვალენტინობას გაგზავნილი ბარათით ვაჟი თავისი რჩეულის ვალენტინი ხდება, ხოლო გოგონა კი ვალენტინა. როგორც ვთქვით, მოგვიანებით ვალენტინი შეყვარებულების მფარველ წმინდანად მიიჩნეოდა. დღემდე ევროპასა და ამერიკაში

14 თებერვალს სასიყვარულო ბარათებს, საჩუქრებს, ყვავილებს, ტკბილეულს უგზავნიან შეყვარებულები ერთმანეთს.



სიყვარული, რომ „ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი“, ერთ-ერთი ცნობილი კინოფილმის წყალობით, საქართველოში თითქმის ყველამ იცის. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. რა არის სიყვარული სინამდვილეში? მეცნიერული თვალსაზრისით, იგი რთული ფსიქიკური მდგომარეობაა. რომელსაც ახასიათებს გრძნობების, აზრებისა და მოქმედებების აკვიატებული კონცენტრირება სიყვარულის ობიექტზე იმ ზომით, რომ ეს ხშირად სხვა საზრუნავის უგულვებელყოფას იწვევს; ასევე გამოირჩევა უკიდურესი სუბიექტურობით, რის გამოც აღიქმება უპირატესად სიყვარული სუბიექტის

პათოსი, რომელიც მდგომარეობდა პიროვნების ავადმყოფურ ფიქრებზე წარსულის გამო, როცა ცდილობდნენ და ვერ ახერხებდნენ განედევნათ მათი მესხიერებიდან წარსული სიყვარული. მათ დაადგინეს, რომ ის ადამიანები, რომლებსაც მოუხდათ შეყვარებულებთან დაშორება, ვერ ივიწყებდნენ მათ, ხშირად ფიქრებით უბრუნდებოდნენ წარსულს. წარმოიდგენდნენ როგორ შეიძლება გაგრძელებულიყო მათი ურთიერთობა, რა იქნებოდა ახლა მათ შორის. აღსანიშნავია, რომ არასასურველ მოგონებებს დაკარგულ სიყვარულზე, არც თუ ისე იშვიათად, მოაქვთ მძიმე განცდები, შედეგად კი „წარსული სადმი ლტოლვა“ გადაიქცევა აკვიატებულ იდეებად, რომლებიც არღვევენ პიროვნების ცხოვრების ნორმალურ ყოველდღიურობას, ხელს უშლიან ახალი ურთიერთობების ჩა-

წუთიან მონაკვეთად. ანალიზისათვის გამოიყენებოდა საწყისი მდგომარეობიდან გადახვევა ყოველი წუთის განმავლობაში.

თავდაპირველად ცდისპირებს ავალბდნენ ეფიქრათ ყველაფერზე, რაც კი მოუვიდოდათ თავში. ამ მომენტისათვის იზომებოდა მათი კან-გალვანური რეაქციის საწყისი მდგომარეობა. ამის შემდეგ კი თხოვდნენ მათ ეფიქრათ იმ კონკრეტულ პიროვნებაზე, რომელიც ოდესღაც ძალიან უყვარდათ, ამ დროს მათ საგრძნობლად უმაღლედებოდათ კან-გალვანური რეაქციის დონე. გარკვეული დროის შემდეგ მეცნიერები ცდისპირებს თხოვდნენ დაეთრგუნათ იმ ადამიანზე ფიქრი და სხვა რამეზე გადატანათ ყურადღება. მიუხედავად ამისა, ამ ადამიანებში კვრ დონე კვლავ მაღალი რჩებოდა. მიღებული შედეგებმა აჩვენა, რომ საყ-

საბჭოთა ოკუპაციის დღე

სტუდენტური მოძრაობა „ალტერნატივა“-ს ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმის „პირველი რესპუბლიკის“ ჩვენების შემდეგ სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დისკუსია გამართეს თემაზე: „რა წვლილი შეიტანეს სტუდენტებმა და ლექტორებმა სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლაში?“. ღონისძიების მონაწილეებმა კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გამრულად დაღუპულთა სსოვნას, გაიხსენეს 92 წლის წინ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები და ოკუპანტების უკანონო ქმედებები დაგმეს.



ვიზიტი ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხუთდღიანი, საპასუხო ვიზიტით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლილე თანდილაძე და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი თამარ მაჭულაძე ეწვევნენ. ქართველმა კოლეგებმა რექტორთან, რექტორის მოადგილეებთან და დეკანებთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და დაგეგმილი კონფერენციის ჩატარების პირობებზე ისაუბრეს. პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ოთხი სტუდენტი ნახჭევანში ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლის. ოთხმა აზერბაიჯანელმა სტუდენტმა ბსუ-ში გაცვლითი პროგრამით სწავლა გასული წლის დეკემბერში დაასრულეს.



„მე ამ მაქვს ძალა, მოვიძიებო პენზე ვიქსი“ — ანუ ოთხი ექსპერიმენტის შესახებ

დადებითი თვისებები, უარყოფითი კი იჩქმალება, ნეიტრალიზდება და პოზიტიურადაც კი ფასდება; შეყვარებულ ადამიანს ასევე, აღინიშნება ეიფორიული ან ამაღლებული გუნება-განწყობილება და სექსუალური ლტოლვა სიყვარულის ობიექტის მიმართ. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სიყვარულის აცილება ან კონტროლი შეუძლებელია, ეს ფაქტი კი მიგვანიშნებს ამ მდგომარეობის ორგანიზმულ ძირებზე. აგრეთვე დადგენილია, რომ ამ დროს გამოიყოფა ისეთი ჰორმონები, რომელთა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ეფექტი ნარკოტიკული ზემოქმედების ადეკვატურია. თუმცა ამ ნივთიერებათა გამომუშავება მუდმივად არ ხდება. უმეტეს შემთხვევაში, სიყვარულის გრძნობის სიმძაფრე ორი-სამი წლის შემდეგ კლებულობს და სხვა, ახალ ფაზაში გადადის, რომელიც პარტნიორთა შორის უფრო ღრმა და სტაბილური კავშირის არსებობით ხასიათდება. თუმცა ეს ყოველთვის ასე როდია. ზოგჯერ ადამიანები შორდებიან ერთმანეთს, შემდეგ კი მთელი ცხოვრება ვერ ივიწყებენ „იმ ერთს“... რა ხდება ამ დროს?

ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, გოლდმა და ვეგნერმა შეისწავლეს ადამიანური

მოყალიბებას. მეცნიერები დაინტერესდნენ, საიდან მოსდით ადამიანებს ეს ფიქრები და აქვს თუ არა მას ფიზიოლოგიური საფუძველი.


ამ მოვლენის შესასწავლად ჩატარეს ექსპერიმენტი, რომლის მიზანიც იყო შემოწმებინათ შეეძლო თუ არა წარსული ლტოლვის ცნობიერად დათრგუნვას ამაღლებინა ადამიანის ფიზიოლოგიური რეაქტიულობა. ექსპერიმენტის გეგმა ხასიათდებოდა ღია და კლასიკური ფორმით. დასაწყისში სპეციალური ხელსაწყოთი ზომავდნენ ცდის პირთა კან-გალვანურ რეაქციებს ფაულესის მეთოდით (კანის ზედაპირის ბიოელექტრული აქტივობა, ორგანიზმის ემოციური რეაქცია, რომელიც დაკავშირებულია სიმპატიკური ნერვული სისტემის მუშაობასთან. პირველად გაზომა ქართველმა მეცნიერმა თარხნაშვილმა, ამიტომ მას თარხნაშვილის ფენომენი უწოდეს). ცდისპირებს თითებზე ჰქონდათ დამაგრებული ელექტროდები. ისინი მაგრდებოდა მარჯვენა ხელის პირველ და მესამე თითის ფალანგზე და უერთდებოდა „ინტერფეისის“ სისტემას, რომელიც აფიქსირებდა შედეგებს. ყოველ სერიის მიმართვა განსაზღვრული მიმართულებით იყო დაყოფილი სამ სამ-

ვარელ ადამიანზე ფიქრების დათრგუნვის პროცესში შესაძლებელია მოხდეს ფიზიოლოგიური რეაქტიულობის გაძლიერება. იმ ცდისპირებს, რომლებსაც ავალბდნენ დაეთრგუნათ იმ ადამიანებზე ფიქრები, რომლებიც იყვნენ მათთვის ჯერ კიდევ სასურველი, ყველა მათ მოგონებაზე უმაღლედებოდათ კვრ-ს დონე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დათრგუნვა აბრკოლებს სტიმულთან ნორმალურ შეგუებას, რომელიც ისედაც იწვევს ძლიერ აგზნებას, კვრ-ის რეაქცია ამ სტიმულზე თავს იჩენდა ისე, თითქოს ის ყველა ჯერზე ახალი იყო.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ წარსულ სიყვარულზე ფიქრების დათრგუნვის მცდელობისას, ადამიანები მისდაუნებურად, კიდევ უფრო მეტად აძლიერებენ თავის თავში იმ ემოციურ რეაქციებს, რომლის დათრგუნვას, რომლისგანაც განრიდებასაც ცდილობენ. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ვერ ივიწყებენ ისინი წარსულ სიყვარულს, როგორც ამბობენ „არ ჰყოფნით ძალა, მოიშორონ მასზე ფიქრები“.

რუსუდან ბერიძე,
ფსიქოლოგიის აკადემიური
დოქტორი




ახალი წიგნები

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა) მორიგი — მეოთხე ტომი, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1921—1900 წლების პერიოდს. ტომის რედაქტორია პროფესორი ოთარ თურმანიძე, რეცენზენტები არიან პროფესორები: მაყვალა ნათელაძე, ვახტანგ გურული და ავთანდილ სონღულაშვილი.

ავტორიფერატი

სამეცნიერო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა მკვლევარ გიორგი ქავთარაძის ავტორიფერატი — „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მოდელი მე—19 საუკუნის 60—იანი წლები — მე—20 საუკუნის დამდეგი)“. ავტორიფერატში მოცემულია ნაშრომის ზოგადი დახასიათება, კერძოდ წარმოჩენილია მე—19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ რეალობაში განვითარებული ის დასავლური ღირებულებები, რომლებმაც გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ისტორიის განვითარების პროცესებზე. მასში შესწავლილია თანამედროვე დასავლური ღირებულებების ისტორიოგრაფია და ქართველი განმანათლებლების შეხედულებანი.



მკვლევარ სოფიკო მეგრელიშვილის სადისერტაციო ნაშრომი სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მეტად აქტუალურ, კერძოდ, მოტივაციის პრობლემურ საკითხს ეხება.

სადოქტორო ნაშრომი აგებულია მკვლევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, რაც ერთობ ზრდის მის პრაქტიკულ ღირებულებას და მას მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს.

საკვლევ ნაშრომში კარგადაა წარმოჩენილი მეწარმე ხელმძღვანელის მიერ მოტივაციის პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები, ამ პრობლემასთან არსებული არარაციონალური მექანიზმების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

დისერტანტს ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე სათანადოდ შეუსწავლია პერსონალის მოტივაციის პრობლემასთან დაკავშირებული ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური მასალა.

კური რეგულირება სამეწარმეო საქმიანობაში“ შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე.

თანამედროვე ინფორმაციულ თუ კომუნიკაციურ ერაში (იუნგერ ჰაბერმანსი) ადამიანის აზროვნების და საერთოდ, ცხოვრების განვითარების საფუძველი, ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი განვითარებაა. ამ უკანასკნელის შედეგია „ფეისბუქის“ თაობის გაჩენა.

სადისერტაციო ნაშრომში მკვლევარი მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე განიხილავს ეფექტური კომუნიკაციის საშუალებათა და თანამედროვე მართვის აქტუალურ პრობლემებს. ნაშრომში არგუმენტირებული, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე დასაბუთებულია კომუნიკაციის საშუალებათა გადამწყვეტი ფაქტორი სამუშაოთა დაგეგმვის, მართ-

მოსამონაჩი



უნივერსიტეტის ღირსეულ, შრომისმოყვარე, პროფესიონალ ლექტორთა შემადგენლობას ამა წლის 19 თებერვალს გამოაკლდა ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი არჩილ ბერიძე. ბატონმა არჩილმა რთული, უამრავი დაბრკოლებებით სავსე ცხოვრება განვლო. მას და მის ოჯახს არ დაკლებია გასახლება, გაჭირვება, უსახსრობა, მრავალი პრობლემა, მაგრამ ბატონი არჩილი ყველაფერს მედგრად იტანდა, არასდროს დაუკარგავს რწმენა და ყოველთვის იმედის თვალთ უყურებდა მომავალს. ის ყოველთვის გამოირჩეოდა მონდომებით, მიზანსწრაფულობით, ცოდნის წყურვილთა და შემოქმედებითი უნარით.

ბატონი არჩილი დაიბადა შუახევის რაიონის უჩამბის სასოფლო საბჭოს სოფელ ნაბლანაში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს და მიიღო რუსული ენის, ლიტერატურისა და გერმანული ენის მასწავლებლის დიპლომი. 1961 წლიდან 1966 წლამდე მუშაობდა შუახევის რაიონის სოფელ ნაბლანის 8-წლიანი სკოლის რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად. 1966 წლიდან 1980 წლამდე მუშაობდა შუახევის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგედ. 1979 წელს მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნერის კალიგრაფიული უნარჩვევების ფორმირებისა და ფუნქციონირების ფსიქოლოგიური თავისებურებები“. 1980 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ჯერ კაბინეტის, ხოლო შემდეგ კი კათედრის გამგედ. 1992 წლიდან მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე, ხოლო შემდეგ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად. ის კითხულობდა ლექციებს ფსიქოლოგიის შესავალში, ქცევის ბიოლოგიურ საფუძვლებში, განვითარების ფსიქოლოგიაში. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის არის ისეთი ფუნდამენტური ნაშრომი, როგორიცაა „აღზრდის საძირკველი“.

ბატონი არჩილის პიროვნება განსაკუთრებული გულკეთილობით, ერთგულებით, გულუხვობით, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით და კომპეტენტურობით გამოეჩინა. მას ბევრი გასაკეთებელი ჰქონდა, ზუსტად ახლა მუშაობდა ის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, განვითარების თავისებურებები, ბიოფსიქიკური პრობლემები. სამუშაოდ პედაგოგიური ფსიქოლოგიისათვის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის ბოლომდე შესწავლა ვერ მოასწრო ბატონმა არჩილმა. მისი მეცნიერული მიღწევები საფუძველს გვაძლევს ბატონი არჩილი ერთ-ერთ საუკეთესო ფსიქოლოგად მივიჩნიოთ, რომლის შემოქმედება ყოველთვის ფასეული იქნება ჩვენთვის და ახალგაზრდა თაობისთვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის თანამშრომლები

გამოსმაურება

ბრძენი გოეთე აღნიშნავდა, რომ თეორია მაინც უფერულია, მაგრამ ოქროს ხე სიცოცხლისა მუდამ მწვანეა, ამიტომ აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მკვლევრის მიერ შესწავლილი პერსონალის მოტივაციის თავისებურებების თეორიული განზოგადება განაპირობებს ცხოვრებაში მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

სადოქტორო ნაშრომის ძირითადი პრობლემური საკითხები განხილულია აჭარაში მოქმედი ტურისტული ბიზნესსაწარმოებისა და სასტუმრო კომპლექს „მერიდიანის“ მაგალითზე, რაც სამომავლოდ დადებითად აისახება აჭარის რეგიონის ამ მიმართულებით განვითარების საქმეში.

სადოქტორო ნაშრომის ყოველი თავის ბოლოს წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები მეწარმეებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ იგი საკუთარი საწარმოების საქმიანობაში. სადისერტაციო ნაშრომში დანერგილია პერსონალის მოტივაციის მმართველის ახალი მეთოდები და მათი პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობა.

დოქტორანტ სოფიკო მეგრელიშვილის სადისერტაციო ნაშრომი „სტიმულირებისა და მოტივაციის პროცესების ორგანიზაციულ-ეკონომი-

კისა და შესრულების საქმეში. საკვლევ ნაშრომში მოცემულია მენეჯმენტის ცნების დეფინიცია, გადაწყვეტილია მენეჯმენტის პრობლემა, შემუშავებულია მართვის ძირითადი ფუნქციების ახალი ხედვა.

დისერტანტის მიერ შემოთავაზებულმა წინადადებებმა ასახვა ჰპოვა საქართველოს მთავრობის მიერ ახლახან შედგენილ შრომით კანონმდებლობაში.

დოქტორანტის მიერ ნაშრომში მოცემული არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები დანერგილი და გამოყენებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი საწარმოების, კერძოდ: „ორბის“, „კოლორიტის“ გუმბათ ჯგუფის, „ფორჯიგეით ფროფერტი ჯორჯიას“, „ლაშ შიპინგ ჯორჯიას“ და სხვათა საქმიანობაში. რაც დადასტურებულია აღნიშნული საზოგადოებების მიერ დისერტანტის სახელზე შემოსულ სარეკომენდაციო წერილებში.

დოქტორანტ კონსტანტინე მეგრელიშვილის სადისერტაციო ნაშრომი „ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ცვლილებათა მართვის პროცესში - თანამედროვე მმართვეის პრობლემები“ შესრულებულია მაღალპროფესიულ დონეზე.



რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

საპრეზიდენტი:
ნესტან ბაგვაძე

საარქაიზო კოლეგია:

ნანა მახსარი
ივანე შაჰიშვილი
ნათია ნიქაშვილი
ნინო ღოღია
მეგრე ზორაშვილი
დავით პარაშვილი
მეგრე ნახაშვილი
შოთა მახსარი
ნანა პარაშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7

